14
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. ც. ა. კ. არ და მაზრ.
ტფ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, „კრუზე" [illegible] № 4. მე-2 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 13 მე-3 სართული ტელეფ. 5—46
[illegible]

№ 80 ოთხშაბათი, 11 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 0,000 მან. № 80

დეპეშები

შვეციაში გადადგა სოციალ-დემოკრატ ბრანტინგის მთავრობა.

იერუსალიმში მოხდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია, რომლის გარეკის დროს დაიჭრა 16 კაცი.

მთელ რუმინიაში ხდება დემონსტრაციები, რომლებიც გამოწვეულნი არიან მთავრობის მიერ შემოღებულ ახალი კონსტიტუციით.

ლოზანაში ახლად გახსნილ კონფერენციის წინ ოსმალეთის დელეგაციამ ანტანტას გადასცა ახალი ნოტა, რომელშიც აღნიშნულია ოსმალეთის ფინანსიური და ეკონომიური საჭიროებანი.

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ

კონტორიდან

გაზეთების გამომცემლობებთან შეთანხმებით აპრილის თვეში წესდება შემდეგი ტარიფი განცხადებებზე.

მე-4-ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—70000 მ. 1-ლ და მე-2 ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—140000 მან. განმეორებითი არა ნაკლებ 6 ჯერ 5 პროცენტის დაკლება, და არა ნაკლებ 10 ჯერ 10 პროცენტის დაკლება.

თეატრალური 60 სტრიქონამდე 20 პროცენტის დაკლებით, 60 სტრიქონზე მეტი კი ნორმალური ტარიფით.

სამგლოვიარო განცხადებები არა უმეტეს 30 სტრიქონისა—2 მილ. მანეთი. საქმიო არა უმეტეს 5 სტრიქ.—3 ნახევარი მილ. მ. თვეში, 5 სტრიქონზე მეტი კი ფასდება როგორც შრომის მიწოდება. 3—2

საქართველოს წითელი ჯარისთვის

საქართველოს მშრომელ ხალხს.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, ამ დღეებში გამოცხადდება 1901 წ. დაბადებულთა, ქართულ წითელ ლაშქარში გაწვევა.

რევოლიუციონური წითელი ლაშქრის რიგები სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდა მუშებმა უნდა შეავსონ და მით უზრუნველჰყონ სოციალისტური რესპუბლიკები გარეშე თუ შინა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან.

წითელი ჯარი წარმოიშვა, გაიზარდა და გაჯანსაღდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნის მხრივ მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში.

პირველი აკვანი წითელი ჯარის ეს რუსეთია, რომლის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ძლევა მოსილი რეგულიარული ჯარი მტრების შესამუსრავად. თქვენ დაინახეთ და დარწმუნდით, თუ როგორ იბრძოდა მუშების და გლეხების ჯარი, როდესაც მათ წინააღმდეგ იმპერიალისტურ ქვეყნების კორპუსები და დივიზიები დაირაზმა და იერიში მოჰქონდა რუსეთის შინა კონტრ-რევოლიუციონერების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით.

რიცხვით მრავალი, სურსათ სანოვაგით უზრუნველყოფილი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური ჯარი უკუ აქცია შრომის ღვიძლმა შვილმა, წითელმა ჯარმა. ასეთ პირობებში მსგავსი მარცხი მტრების და გამარჯვება ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს იმიტომ, რომ წითელი ჯარი უპირველეს ყოვლისა ღვიძლი შვილია მუშების და გლეხების.

ეს იმიტომ, რომ დღეს მუშები მთავრობაა, მთავრობა იგივე მუშებია.

წითელმა ჯარმა იცოდა და იცის, რომ ის თავის საკუთარ საქმეს აკეთებს. მან იცის, რომ თავისი სისხლით და ხორცით უნდა დაიცვას მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოები (მუშათა უზენაესი პარლამენტები), რომელიც ატარებს ცხოვრებაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ რევოლიუციონურ პრინციპებს და კანონებს, [illegible] და შეურყევლად ებრძვის დრომოჭმულ უკვე რეაქციონურ კაპიტალისტურ წარმოებას და ნიადაგს უმზადებს ახალს სოციალისტურ წარმოებას და თანამშრომლობას.

წითელმა ჯარმა იცის, რომ საბჭოების დამარცხება ეს ძველის აღდგენაა (რესტავრაცია), მიწების მემამულეთა დაბრუნებაა, ფაბრიკა ქარხნების და ყველა წარმოების ერთი მუჭა კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა.

საბჭოების დამარცხება ეს მუშათა და გლეხთა დამარცხებაა, მუშების და გლეხების პოლიტიკურად და ეკონომიურად მონობაა.

საბჭოების დამარცხება—ეს ძალა-უფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა. იცის რა ყველა ეს წითელმა ჯარმა—ამიტომ ის უძლეველია და სახელოვანი დარაჯი მუშათა ინტერესებისა, მისი სახელი და მოგონება შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ ჯარს და სარდლობას.

მუშებო და გლეხებო, მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება; საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება კი ერთი უდიდესი გარანტიაა ეკონომიური წინმსვლელობისათვის ქვეყნის კულტურულად განვითარებისათვის, ყოველივე ომის, შურის და მტრობის მოსპობისათვის და სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

რუსეთის დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ და ხუთი წლის საქმიანობამ ნათლად დაგვანახა, რომ მუშათა კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, როდესაც მას ეყოლება თავისი რეგულიარული ჯარი.

ჯერ კიდევ, როდესაც გარშემორტყმული ვართ ურიცხვი მტრებით, რომლებიც ერთხელ კიდევ შეეცდებიან გამოიწვიონ ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი ბინძური ხელები, გვმართებს მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი აღმშენებლობითი საქმისათვის ფოლადისებური რევოლიუციონური ცეცხლით გულში ანთებული და მჭრელი მახვილით ხელში გაწვრთნილი დარაჯი, წითელი ჯარის სახით.

ამ ჭეშმარიტებას თქვენ, საქართველოს მშრომელო ხალხო, თვით ხედავთ და ჩვენ დარწმუნებული ვართ აღფრთოვანებით და ერთსულოვანებით შეავსებთ წითელ ლაშქრის რიგებს.

ქართული წითელი ჯარი აღზრდილი სოციალისტური იდეით ერთი რაზმთაგანი იქნება კომუნისტური ინტერნაციონალური ჯარის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების დაცვაში დაამტკიცებს თუ როგორ უნდა ბრძოლა კომუნისტური იდეალებისათვის.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ახლად გაწვეულნი სულ მოკლე ხანში—ჩვენს წითელ ყაზარმებში მიიღებს შესაფერ სამხედრო ცოდნას და გონებრივ განვითარებას, რის შემდეგ ერთი იდეით, პოლიტიკური ცოდნით აღსავსე, საბჭოთა წყობილების დაცვაში დაინტერესებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს და ჩადგებიან სოფლისა და ქალაქის მუშების მოწინავე რიგებში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

დიდება და სალამი წითელ ჯარს და მის სარდლობას!

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელ ჯარის ერთ რაზმს—საქართველოს წითელ არმიას!

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სალამი ჯარში ახლად გაწვევთ!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

მდივანი ბარმენ ხაბაშვილი.

ყვითელი ბლოკი

ქ. ჰამბურგში იკრიბება ამ დღეებში მეორე ინტერნაციონალისა და ეგრეთ წოდებული „სოციალისტური პარტიების ინტერნაციონალური გაერთიანების" (მეორე ნახევარი ინტერნაციონალის) საერთო კონგრესი, რომელმაც უნდა შექმნას ერთი ორგანიზაცია. გაერთიანებული ინტერნაციონალის ახალი სახელწოდება იქნება, როგორც განზრახვა აქვთ მის ნათლიებს, „სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი".

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, თვით გერმანიაში, სადაც ადგილი ექნება ამ „გარდაქმნისა" და ნათლის „საიდუმლოებას", უკვე მოხდა შარშან ამ ინტერნაციონალების გერმანული სექციების გაერთიანება. გერმანიის სოციალისტური პარტია, ყველაზე უფრო ძლიერი სექცია ყვითელი ინტერნაციონალის, აერთებს დღის თავის რიგებში როგორც შეიდემანს და კუნოვს, ისე ლევისა და კრისპინს. თუმცა მათ შორის ტკბილი ცხოვრება ჯერ კიდევ არ დამყარებულა და განაგრძობენ ერთი მეორესადმი „ლრენას", მაგრამ ეს ხდება არა რაიმე პრინციპიალური განსხვავების გამო მათ შორის—წინააღმდეგ შემთხვევაში გაერთიანებაც არ მოხდებოდა,—არამედ უმნიშვნელო ოპოზიციის გამო, რომელსაც შეიდემანელებისაგან გარჩევით აწარმოებენ ყოფილი „დამოუკიდებელნი" რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ. და ამნაირათ ის, რაც მოხდა შარშან გერმანიაში უნდა განმეორდეს ამ დღეებში, ახლა უკვე საერთაშორისო მასშტაბით.

როგორც ცნობილია „დამოუკიდებელ სოციალისტების" ოპოზიცია დაიბადა და გამოეყო ოფიციალურ, მთავრობისაგან დამოკიდებულ სოციალ დემოკრატიას, იმ უთანხმოების გამო, რომელმაც თავი იჩინა ძველ სოციალ-დემოკრატიაში და მიიყვანა ის ორგანიზაციულ რასკოლამდე. უმთავრესი საკითხი, რომლის ირგვლივ სწარმოებდა ბრძოლა ორ ნაწილს შორის იყო: მიეცეს თუ არა ფული მთავრობას ომის საწარმოებლად. მემარჯვენე ფრთა უპასუხებდა „ჰოს", მემარცხენე კი კაუცკის, განსვენებული ჰააზეს და ლედებურის (ჩვენ არას ვამბობთ ჯალათურათ მოკლულ ჩვენ ლიბკნეხტზე) მეთაურობით აძლევდნენ ამაზე უარს. ომის დროინდელ გერმანიის სოციალისტურ პრესაში ფართოთ გავრცელებული იყო და მოქალაქეობრივობის უფლება მოიპოვა თავისებურმა ტერმინოლოგიამაც: პირველებს უწოდებდნენ „ჰოს მთქმელებს", მეორეებს—„არას თქმელებს". მთელ რიგ საკითხებში მისა და ეგრედ წოდებული „ომის მეურნეობასთან" დაკავშირებით გამოიწვია შემდეგში უთანხმოება, რომელიც დათავდა, როგორც ვთქვით, ოდნავ ფორმალურათ მთლიანი პარტიის ორგანიზაციული გაყოფით. ომის გათავების შემდეგ უთანხმოების ძველი კითხვები ამოიშალა სინამდვილიდან და ამან მისცა ფორმალური საბაბი ორივე პარტიის გამაერთიანებლებს ჩამოეგდოთ ლაპარაკი ამ გაერთიანებაზე, თუმცა მემარჯვენეებს სრულიადაც არ უთქვამთ უარი თავიანთი პოლიტიკის ხაზზე ომის შემდეგაც, მაგრამ ეხლა სხვა სინამდვილესთან და სხვა კითხვებთან შეფარდებით. პრინციპი კლასთა თანამშრომლობისა და „სამოქალაქო ზავის" ძველებურათ შეადგენს უმთავრეს გამოსავალ წერტილს გერმანიის სოციალ-დემოკრატიისას და ასეთ პარტიასთან გაერთიანდნენ „დამოუკიდებლები". ასეთივე პრინციპი უდევს საფუძვლათ ტაქტიკურ სხემას ორივე ინტერნაციონალისას, რომლებიც უნდა გაერთიანდნენ ახლო მომავალში ჰამბურგში.

ჩვენ თავიდანვე იმ აზრის ვიყავით, რომ გაერთიანება მეორე ნახევარი ინტერნაციონალის მეორესთან გამომაფხიზლებელ როლს ითამაშებს განსაკუთრებით იმ მუშების კლასიური შემეცნების განვითარებისათვის, რომელნიც მისდევდნენ ვენის ინტერნაციონალს. ისინი დარწმუნდებიან. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველ შემთხვევაში, რომ წინააღმდეგობა ამ ორ ინტერნაციონალს შორის არ იყო პრინციპიალური, რომ როგორც პირველის, ისე მეორეს პოლიტიკური მოწამსი არის გამართლება ბურჟუაზიის დიქტატურის, შენიღბულის „ფორმალური დემოკრატიით". ყვითელი სოციალისტების ბლოკი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მალე „სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის სახით" არის ფაქტიურათ ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მასებში და ამის შეგნების დაჩქარება, რომლის გარეშე არ შეიძლება პროლეტარიატის გამარჯვება, უნდა შეიქნეს უფრო მეტათ, ვინემ დღემდე, უდიდეს ამოცანათ კომინტერნისა და მისი სექციებისათვის ყველა ქვეყნებში.

დამზღვევ კასების ორგანიზაციული სტრუქტურა

საკითხი თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს დამზღვევ კასას, დაზღვევის რა და რა სახეებს აერთიანებდეს, ვისი ხელმძღვანელობით მუშაობდეს და როგორ უნდა იყოს მისი მოქმედების რაიონი შემოფარგლული თითქმის ამოწურულად ითვლება მას შემდეგ, რაც სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობამ გარკვეული დადგენილება გამოიტანა სოციალურ დაზღვევის შესახებ.

დამზღვევი კასების შრომის კომისარიატისა და მისი ორგანოების ხელმძღვანელობით მუშაობა, მათი მაქსიმალური დეცენტრალიზაცია და ფონდების ცენტრალიზაცია ჩვენში საკმაოდ ტარდება და ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთებულა, ხოლო ერთი რამ უთავრესი, რაც ჯეროვნად სათანადოდ ვერ არის მოგვარებული, ეს არის კასების ტერიტორიალურად გამიჯვნა. ეხლანდელ სამაზრო კასებში მაზრის ფილიალების გაერთიანება.

საკმაოდ მოძველებულია ტიპი ეხლანდელი საერთო სამოქალაქო კასის, ხოლო ეხლანდელი სამაზრო კასები კი თავის დანიშნულებას როგორც სამაზრო კასები ვერ ამართლებენ იმ დროს, როდესაც სოციალური დაზღვევა უასყიდლო, საყოველთაო და სავალდებულოა, თემებში დაქირავებული მუშა მოსამსახურეები სავსებით ყველა მაზრებში თუ არა უმეტეს შემთხვევაში მაინც დაზღვევის გარეშე არიან დატოვებული. უკანონობა, რომ სოციალური დაზღვევის პირობები ტარდებოდეს ნაწილობრივად და ნაწილი იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომელზედაც უნდა გავრცელდეს დაზღვევის კანონები, მოკლებული იყოს იმ უფლებებს, რომელიც დაზღვევის სახით მინიჭებული აქვს ყოველივე დაქირავებულ შრომით მომუშავე პირს. საყოველთაო დაზღვევის ცხოვრებაში გასატარებლად იქნა კამპანია ჩატარებული, სათანადო ცირკულიარებიც კი დაიგზავნა ადგილებზე, რომ კასები მოწყობილიყო სამაზრო და სარაიონო ტიპებით, სადაც შეიძლებოდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენტის შექმნა და მათთვის სათანადო სამსახურის გაწევა. მას შემდეგ სამაზრო კასები ფაქტიურად სამოქალაქო კასებათ განაგრძობენ თავის არსებობას და თემები არ არიან დაზღვეულნი, ვალდებულება უეჭველად უნდა იქნეს შესრულებული და ამ მხრივ საჭიროა მხოლოდ პრაქტიკული მუშაობა. შეუძლებელი და დაუშვებელიც არის მაზრაში (სამაზრო ქალაქში) დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა დასაზღვევათ სამაზრო ქალაქში არსებულ დამზღვევ კასასთან პარალელურად დაარსებულ იქნას მაზრის კასა. სხვა მრავალ დაბრკოლებათა შორის ეს გამოიწვევს სამაზრო და ქალაქის კასების ფუნქციათა არევ-დარევას. ისიც შეუძლებელია, რომ მაზრაში სადაც არ არსებობს სამრეწველო პუნქტები დამოუკიდებელი ფილიალები იქნეს დაარსებული. მაშ საჭიროა, რომ სამაზრო ქალაქის დამზღვევი კასა ერთ და იმავე დროს იყოს ქალაქისა და მაზრის დამზღვევი კასა. კასის ასეთი ტიპი უკვე არჩეულია რუსეთში და საჭიროა ჩვენშიაც ასეთ კასას არამც თუ უპირატესობა მივცეთ, არამედ აუცილებელ და სავალდებულო ფორმად გავხადოთ საქმის ინტერესებისთვის, რომ დაზღვევის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მუშა-მოსამსახური.

მაზრაში შეიძლება არსებობდეს მეორე კასაც, მაგრამ, რასაკვირველია, ისეთ პუნქტში, სადაც მრეწველობას ადგილი აქვს, მაგ. ტყიბულში, ჭიათურაში და სხვა. ხოლო ამ სარაიონო კასას იგივე უფლებები და ფუნქციები უნდა ქონდეს როგორც სამაზროს, რა თქმა უნდა მათი მოქმედების რაიონი გამიჯნული უნდა იყოს ერთიერთთან შეთანხმებით.

ყოველ სამაზრო და სარაიონო კასას უნდა ჰყავდეს ადგილებზე რწმუნებულნი, რომელთა მოვალეობა იქნება რამოდენიმე თემის გაერთიანება, და მათში მყოფ მუშა-მოსამსახურეებისათვის დახმარების გაწევა ხოლო თუ საჭირო იქნება ადგილობრივად პროცენტების ანარიცხის აკრებაც. რესპუბლიკის კასების მთავარი ხელმძღვანელი და ცენტრალური ორგანო არის რესპუბლიკის შრომის კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის განყოფილება, რომელთანაც პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ქონდეს ყოველ ტიპიურ კასას.

ეს ღონისძიებანი სასწრაფოდ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში და სხვა მრავალ საკითხებს შორის გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს კასების იმ ნიადაგზე მოწყობა და მათთვის ისეთი ელასტიურობის მიცემა, რომ დაზღვევის გარეშე არ დარჩეს დაქირავებულ შრომით მომუშავე არც ერთი პირი.

ი. ლ.

ზემო იმერეთის მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა

მიმდინარე თვის 18-ში ქალაქ ზესტაფონში მიწათ-მოქმედების კომისარიატის ინიციატივით მოხდება ზემო იმერეთის მევენახ. და მეღვინ. ყრილობა.

მშრომელი მევენახეები ამ ყრილობას მრავლად უნდა დაესწრონ და წინდაწინვე იფიქრონ იმ საჭირბოროტო კითხვებზე, რომლებიც ყრილობაზე იქნება დასმული განსახილველად და გადასაჭრელად.

აქ მოიყრიან თავს ადგილობრივი მუშაკები, მათ მიემატებათ მიწათ-მოქმედების კომისარიატიდან გამოგზავნილი აგრონომები და სპეციალისტები ცენტრიდან და ესენი ხალხთან ერთად აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეძლებენ საკითხების გამორკვევას და ხალხის სასარგებლოთ მათ გადაჭრას.

ცხოვრება ახალ გზაზედ არის შემდგარი და ყველაფერი იცვლება მშრომელი ხალხის სასარგებლოთ. მეურნეობის გაუმჯობესობის საქმე საზოგადოთ პირველ რიგშია დაყენებული და მთავრობის გულის ყური ერთიანად მის აღდგენაზეა მიპყრობილი. მშრომელმა გლეხობამ ამით უნდა ისარგებლოს და მთავრობას საქმებით დაეხმაროს, რადგან მეურნეობის აღდგენა და განვითარება—ეს გლეხობის წილში გამართვაა.

ზემო იმერეთის მშრომელი გლეხობა განსაცვიფრებელ შრომას ეწევა; დილიდან დაღამებამდის ოფლს ღვრის, მაგრამ იქაური ხრიოკები და მწირე მიწები მათ შრომას ვერ აჯილდოვებს; გლეხობა განიცდის საშინელ გაჭირვებას. მაგრამ რაც უნდა ხრიოკი და მწირი იყოს ადგილი, მის მაინც გაეწყობა იმგვარათ შერჩევა ხელის და დამუშავება, რომ მშრომელმა შესძლოს ცხოვრება. ხოლო ამისათვის საჭიროა ცოდნა. ქვეყანაზე აღიარებულია ისეთი ადგილები და უფრო ნაკლები მოსავლიანი, როგორც არის უმეტესად ზემო იმერეთში, მაგრამ ბუნების დაბრკოლება იქ მეცნიერებამ გადალახა; ბუნება დამორჩილებულია და მშრომელს შრომა უფასდება.

ზემო იმერეთის მშრომელ გლეხობას ალღო კარგათა აქვს აღებული, ის მიხვდარია, რომ იმ ადგილებში მევენახეობის გაშენება უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით და კიდეც აშენებს და ეწევა მევენახეობას. იქაურმა მშრომელმა მრავალ ხნებმა საოცარი შრომა გადიტანე, ფილლოქსერის გაჩენის შემდეგ ვენახების აღდგენის საქმეში. მათი ვენახები ერთიანად გაანადგურა ფილლოქსერამ, მაგრამ გლეხობამ საკუთარის მკლავით, დაკოჟრილის ხელით დაამუშავა წესიერად ეს ძნელად დასამუშავებელი მიწები და დამყნილ ვენახებით მოფინა და დაამშვენა გორაკები და ფერდობები. გლეხობას ამ ძნელსა და დაუძლეველ საქმეში ნივთიერად არავინ არ დახმარებია. იმ დროის ნიკოლოზის მთავრობა იყო და ვინ დაეხმარებოდა. მათთვის არც ცოდნა, არც შეღავათი გადასახადებში, არც რაიმე გაუმჯობესებული წესი მიწის დამუშავებისა, მანქანით და რაიმე მექანიკური წესით მიწის დამუშავებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. გლეხობამ დაბეგრული წერაქვით და ბარ-თოხით გადააბრუნა 8—10 ათასი დესეტინა მიწა და მორთო ის ვენახებით.

ცხოვრება წინ მიდის და მეურნეობაში მეცნიერებას ბევრი ახალი შეაქვს. შეიძლება არ გაივლის ისე, რომ მეცნიერებამ და პრაქტიკამ ახალი რამე არ შესძინოს კერძოთ მევენახეობის და მეღვინეობის განვითარების და გაუმჯობესობის საქმეს. მეცნიერება აადვილებს ვენახების მოვლა დამუშავებას და სნეულებასთან და მავნებლებთან ბრძოლას; ნაყოფის ღირსება და რაოდენობა უმჯობესდება და დიდდება. ღვინის ხარისხი უმჯობესდება და ამის გამო მშრომელის შრომა სათანადოთ ფასდება. ყველა ეს საჭიროა იცოდეს ჩვენმა მევენახე—მეღვინეებმა და მათი მეცადინეობა საქმის გაუმჯობესებისაკენ უნდა იქნეს მიმართული.

ვენახების დამუშავება ზემო იმერეთში წარმოებს ძველებურად; ვენახის დამუშავების ტეხნიკაში არავითარი ახალი არ არის შეტანილი და ისე ხდება, როგორც 15—20 წლის წინად ხდებოდა.

ვენახების სიპატარავე, უგზოობა, ღობეები, ძველებური წესი დამუშავების, წამლობის, ცალ-ცალკე მუშაობა, კავშირების და კოოპერატივების უქონლობა, ცოტა მოსავალი, ღვინის ძველებურად დაყენება და ბევრი სხვა არის მიზეზი იმისა, რომ არსად არ ჯდება ისე ძვირად ვენახის დამუშავება, როგორც საზოგადოთ საქართველოში და კერძოთ ზემო იმერეთში, და ამ მხრივ რომ შევადაროთ სხვა ქვეყნების საუკეთესო ვენახების დამუშავების ხარჯები ჩვენი ვენახების დამუშავების ხარჯებს, პირველი ბევრათ ნაკლებია.

ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ იქ მოდის მაღალი ხარისხის ღვინოები. იქაური მევენახე უმეტეს შემთხვევაში ამუშავებს ვენახებს ცხენით და მანქანებით. **იმას ვენახში არ გაუცდება არც ერთი მტევანი და ფოთოლი სნეულების და მავნებლების მიზეზით, ვაზს არ მოუწვავს და სხვ.** ამ საქმეში მათ ყავთ სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები და სათანადოთ მოწყობილი სპეციალური დაწესებულებები. იქაური მევენახეები არიან დაკავშირებული და აქვთ მათ კოოპერატივები. მათ აქვთ მოპოვებული სათანადო ბაზარი, დაცული აქვთ სასტიკი კანონით ღვინის ღირსება და ბუნებრივობა და არც ერთი ბოთლი ღვინო არ ურჩებით გაუსაღებელი. ღვინის დასაყენებლად, მოსავლელად და შესანახათ აქვთ სათანადოთ მოწყობილი სარდაფები, ჭურჭელი, იარაღები, ხელსაწყო, [illegible] და სხვ.

რა გზით შეიძლება ჩვენ და რა საშვალებებით შეგვიძლია შევაყენოთ ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა სწორ განვითარების გზაზე?—აი დღევანდელი საჭირბოროტო საკითხები ჩვენი მევენახეებისათვის, რაზედაც ზემო იმერეთის მევენ. და მეღვინ. ყრილობაზე უნდა იმსჯელონ მშრომელმა მევენახეებმა და იქ დაისახონ პირობები.

იქამდე არ უნდა, ჩვენ უნდა შევამოწმოთ და შემოვიღოთ ის წესები ვენახების მოვლა—დამუშავებაში და ღვინის დაყენებაში—მოვლაში, რამაც წასწია წინ სხვა ქვეყნების მევენახეობა და მეღვინეობა. რასაკვირველია, ახალი წესების შემოღება უნდა იქნეს შეფარდებული ჩვენი ქვეყნის ბუნების და მიწა-წყლის პირობებთან.

ზემო იმერეთის ვენახების მოვლა დამუშავება უნდა გაიფანდეს ტეხნიკის გაუმჯობესობით, წამლობა და ბრძოლა მავნებლებთან უნდა წარმოებდეს მეცნიერების უკანასკნელ გამოკვლევების და ჩვენების თანახმათ.

ღვინის დაყენებლად, მოსავლელად და შესანახათ უნდა შემოვიღოთ სათანადო მოწყობილობები და ყველა ამ საქმეში უნდა გაუსწორდეთ და გაუსწროთ წინ სხვა ქვეყნებს;

თუ ამას მოვახერხებთ, ჩვენი ბუნების და მიწა-წყლის პირობები, ვაზის ჯიშები და ხალხის უნარი შრომისა და ცოდნისა ისეთია, რომ ჩვენ შეგვეძლია მივიღოთ მაღალი ხარისხის ღვინოები, ჩვენ შეგვეძლება გავიტანოთ ჩვენი ღვინოები ძვირფას ბაზარზე და ჩვენი მშრომელი გლეხობაც ისეთ სარგებლობას ნახავს, როგორც სხვა ქვეყნის მევენახეები საუკეთესო ღვინოების წარმოებით.

რანაირათ მოვახერხოთ ეს და რა გვიშველის?

მევენახეთა დაკავშირება, კოოპერატივების მოწყობა, სასწავლებლის დაარსება, სესხის მოწყობა, საზოგადო ღვინის სარდაფების აშენება და მოწყობა,—აი უმთავრესი საშუალებანი მევენახეობის და მეღვინეობის განსავითარებლად. ასე მოხდა სხვაგან, ასე უნდა მოხდეს ჩვენშიაც.

ძნელია და ძვირი დაგვიჯდება—მეტყვის მშრომელი მევენახე.

ამხანაგებო, ძნელია თუ ადვილი, ძვირია თუ იაფი, ხალხურ საქმეს გვერდი არ შეევლება და რაც საჭიროა უნდა გაკეთდეს და მოეწყოს ადრე და მალე.

როცა ხალხი ერთსულოვნათ რაიმეს გაკეთებას მოინდომებს, მისთვის ძნელი არაფერი არ იქნება.

ზემო იმერეთის მევენახეებო, თქვენ ყრილობას დაესწრება მრავალი მომზადებული ხალხი, რომლებიც გამოკვლევენ და თქვენთან ერთათ გადაჭრიან საკითხებს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ. **თქვენთან მოდიან გამოცდილი კოოპერატორები, აგრონომები, ინსტრუქტორები და სხვა გამოცდილი პირები. სათავეში მათ ედგომებათ მთავრობის წარმომადგენელი.**

მიყევით სასარგებლო რჩევას, ნუ დაერიდებით ხარჯს და რაც კი შეიძლოთ მიიღეთ მონაწილეობა საქმიანობაში.

კოტე ბერეკაშვილი.

კომინტერნის მოწოდება ესსენის ამბების გამო

ყველა ქვეყნის მუშებს!

ესსენში დაიღვარა მუშების დიდძალი სისხლი. თერთმეტი მუშა კომუნისტ სანდერსის მეთაურობით მკვდარი დაეცა კრუპპის ქარხნის ეზოში; მრავალი ათეული დაჭრილია, საფრანგეთის იუნკრობამ მთელი რიგი სისაძაგლის და მხეცობის შემდეგ ტყვიისმფრქვევლების ცეცხლით დაიწყო მსოფლიო პროლეტარიატისთვის რურის ოკუპაციის მნიშვნელობის განათება.

რურის ოლქის დაკავების შემდეგ, ფრანგი გენერლები ცდილობდენ რურის მუშებში შეექმნათ რწმენა, თითქო ისინი ემზადებიან მხოლოდ გერმ. კაპიტალისტებთან საბრძოლველათ. თავისი აგენტების საშუალებით საფრანგეთის გენერალიტეტი ცდილობდა შთაეგონებია მუშებისათვის, რომ მას არაფერი ექნება საწინააღმდეგო რომ მუშებმა თავის ხელში აიღონ წარმოება თუ კი ისინი შეასრულებენ გერმანიის მიერ ვერსალში თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს. მაგრამ საფრანგეთის იუნკრები ჩქარა იძულებული გახდენ ნიღაბი მოეხადათ. მუშების მასას, რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა გერმანიის თეთრი გვარდიის ხიშტების ბატონობის წინააღმდეგ არ შეეძლო პროტესტი არ განეცხადებია, არ შეეძლო არ ებრძოლა საფრანგეთის იმპერიალიზმის ჯარების მიერ ფაბრიკა ქარხნების ოკუპაციის და მათი რურის ოლქში ბატონობის წინააღმდეგ, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში. და აი, მიწაზე დევს გერმანელ მუშების გვამები, როგორც დამამტკიცებელი იმის, რომ ფრანგი ჯარის კაცების ტყვია ემუქრება არა მექარხნეებს და ფაბრიკანტებს, არამედ ის მიმართულია გერმანელ მუშების მკერდის წინააღმდეგ. კრუპპის ქარხანაში ავტომობილების სარეკვიზიციოთ მოსული ფრანგი ჯარის კაცები მოექცნენ მთავალ ათასიან მუშათა მასაში, რომელმაც ქარხნის საყვირის დაძახილზე მიატოვა მანქანები, და გრძნობდენ რა უძლურებას მის წინაშე გახსნეს ცეცხლი ტყვიისმფრქვევლებიდან.

გერმანიის ბურჟუაზიის პრესა, იმ ბურჟუაზიის, რომელიც უმოწყალოდ ხვრეტდა რურის მუშებს, როცა მათ გაბედეს გალაშქრება გერმანიის კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, ცრემლებს ღვრის საფრანგეთის იმპერიალიზმის მსხვერპლთა გვამებზე. მაგრამ ეს ნიანგის ცრემლებია. ნამდვილათ კი ეს ბურჟუაზია გერმანიის პროლეტარიატის მისი ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების დროს დასახმარებლად მოუხმობს საფრანგეთის იარაღს, რომ პუანკარესთან ერთად დაამხვრიოს გერმანიის რევოლიუცია. გერმანიის ბურჟუაზიას ახარებს ეს სისხლიანი აბანო. ვეხბატონებს კრუპპის ქარხნიდან ახარებს ესსენის სისხლის ღვრა. სწორეთ მათ მოაწყვეს პროვოკაციულად ეს სისხლიანი აბანო, მათ საყვირის ძახილით გამოიწვიეს ქარხნის ეზოში მუშები, რომლებმაც არაფერი იცოდენ და შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომელსაც უსათოდ სისხლის ღვრა უნდა მოყოლოდა. საფრანგეთის იმპერიალიზმის მხეცობამ გერმანელ მუშებს უნდა დაავიწყოს ქსირცხვობა გერმანელ კაპიტალისტებისა, რომლებმაც შეიძინეს რა მილიარდები ომის დროს და მალავენ რა ხაზინისაგან ომის შემდეგ მიღებულ დიდ შემოსავალს. გამოიწვევს ომი რურში და არ სცხვენიათ ამ ომზე მილიონების შეძენის ხალხის მასებისათვის საჭირო საგნებზე ფასის აწევით. ნაციონალისტური ბურჟუაზია საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ სიმძიმეს აკისრებს გერმანელ მუშებს და ამიტომ მისთვის არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც ის, რომ გერმანელი მუშა იწყებს გაგებას, რომ მისი მტერია არა მარტო საფრანგეთის იმპერიალიზმი, არა მარტო პუანკარე, არამედ კუნოს მთავრობაც.

გერმანიის ბურჟუაზიის ნაციონალისტური ცეცხლის მხილებლობა მხოლოდ ბლეფია. ნათელია, რომ ბურჟუაზია განაგრძობს შეთანხმების ცდას და თუ მისი ნაციონალისტური ლაპარაკით მოტყუებული მუშები გადავლენ ბრძოლაზე, ბურჟუაზია, თუ შეთანხმებას მიაღწია, არ დაიხევს უკან იმის წინაშე, რომ მუშებს ზურგში მახვილი ჩასცეს.

მოწინავე პროლეტარების და გერმანიის კომუნისტური პარტიის მუშაობამ, რომელმაც თვალებს უხელს გერმანიის პროლეტარიატს, დიდი გამარჯვება მოიპოვა. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ და რევოლიუციონერმა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან და რევოლიუციონურ პროფკავშირებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობით დაუმტკიცეს რურის მუშებს, რომ ისინი მარტო არ არიან, რომ მათ დასახმარებლათ დგებიან საფრანგეთის მუშები. აგიტაცია, რომელიც დაიწყეს საფრანგეთის ჯარში საერთაშორისო კომუნისტებმა, საფრანგეთის გენერალიტეტისთვის არა ნაკლებ საძულველი იყო ვიდრე გერმანიის ბურჟუაზია.

პუანკარესა და კუნოსაც შეეშინდათ, რომ სანამ ისინი საფრანგეთის და გერმანიის მუშათა კლასის ზურგზე შეთანხმებას მიაღწევენ, საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატი გაერთიანებული ფრონტით აღსდგება ნახშირისა და რკინის საერთაშორისო მეფეების წინააღმდეგ. როგორც პუანკარესათვის ისე კუნოსათვის სისხლიანი ამბები სასიხარულო მოვლენაა. მათ ერთი მეორეს უნდა წაუსისინონ რურის ოლქის მუშები და ფრანგი ჯარისკაცები, მათ ხელი უნდა შეუშალონ საერთაშორისო კაპიტალის ფრანგ და გერმანელ მსხვერპლების დაძმობილებას.

საფრანგეთის მუშებო! თქვენ ჩაუფუშეთ საფრანგეთის იმპერიალიზმს ეს ანგარიში! მთელს მხარეში დიდი დემონსტრაციებით თქვენ გაილაშქრეთ გერმანელ მუშებზე საფრანგეთის ხიშტის ბატონობის წინააღმდეგ და დაუმტკიცეთ მათ, რომ თქვენ თქვენი მთავრობის მხეცობის წინააღმდეგი ხართ. დიახ, საფრანგეთის ჯარისკაცების ტყვიით დაღვრილმა ესსენის მუშების სისხლმა, არ დააშოროს ერთი მეორეს საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატი. დეე მათ შეაკავშირონ ისინი ერთ მებრძოლ ჯარად.

გერმანიის და რურის ოლქის მუშებო!

თქვენ ჩაუშალეთ ანგარიში გერმანელ კაპიტალისტებს, რომლებსაც სურთ უიარაღოთ გაგდენოთ თქვენ საფრანგეთის ჯარისკაცების ხიშტების წინააღმდეგ. თქვენ დაუმტკიცეთ გერმანელ ჯარისკაცებს ძმური სიტყვებით ხელის გაწოდებით, რომ თქვენ ხედავთ, რომ ისინი თავისი სურვილის წინააღმდეგ გამოდიან გერმანიის მუშათა კლასის ჯალათებათ, რომ ისინი ისეთივე მსხვერპლი არიან საფრანგეთის იმპერიალიზმის, როგორც თქვენ. ფრანგ ჯარისკაცებთან დაძმობილებით თქვენ შექმნით ერთ რევოლიუციონურ მწკრივს, ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მუშების დემონსტრაციაზე გენერალ დეგუტის სისხლიან რეჟიმის წინააღმდეგ რურის ოლქში! პარიზის ქუჩებზე ლოზუნგით: „ძირს რურის ოკუპაცია! გაუმარჯოს ზავს გერმანიის მშრომელ მასებთან!"

გერმანიის მუშებო! ქუჩებზე გერმანელ ნაციონალისტების ცდის წინააღმდეგ უიარაღოთ გაგდევნონ თქვენ საფრანგეთის ხიშტებზე! დაუძმობილდით ფრანგ ჯარისკაცებს, დაუმტკიცეთ მათ, რომ თქვენ, გერმანიის კაპიტალის მტრები, ძმები ხართ ფრანგი მუშებისა და გლეხების მაშინაც კი, როცა მათ თავის მორჩილ იარაღად გზავნის რურის ოლქში საფრანგეთის კაპიტალი.

გაუმარჯოს საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატის ერთობას!

ძირს საფრანგეთის იმპერიალიზმი!

ძირს გერმანიის კაპიტალი!

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი.

პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო.

ლენინი

ყველა ქვეყნებში, სადაც კომუნიზმმა გაიდგა ფესვები, მუშები ღრმა მწუხარებით ეგებებიან ცნობას, რომ ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბადებს მოუსვენრობას. ეს იმიტომ, რომ ლენინი, რომლის სახელი ჩვენ გავიგონეთ 1914 წლამდე უფრო ადრე, წარმოადგენს დღეს კომუნიზმის მეგობრების და მტრებისათვის, პროლეტარიატის მეგობრებისა და მტრებისათვის მსოფლიო რევოლიუციის მოძრავ ძალას და იმ მოძრაობის უდიდეს წინამძღოლს, რომელიც მიაქანებს მასებს ძალა-უფლების დაპყრობისაკენ და ამ გზით კი კეთილდღეობისა და თავისუფლებისაკენ.

აღფრთოვანება, რომლითაც მას შეხვდენ პროლეტარები ოქტომბრის აჯანყების მომენტიდან, იმ აჯანყების, რომელიც მისთვის იყო სასურველი და რომელიც განხორციელდა მისი საკუთარი წინასწარი განზრახვით, წინააღმდეგ მისი მახლობელ მეგობრების [illegible] და შიშისა—კიდევ უფრო გაიზარდა მომავალში. ლენინი მოწავალ მუშათა თაობისათვის იქნება მარქსის შემდეგ ფართოთ მქადაგებელი განხორციელებისა; „პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება—ეს არის მუშათა კლასის პირველი მოვალეობა".

მარქსი და ლენინი! ლენინი და მარქსი! ეს ორი დიდი სახელი განუყოფელია. მარქსმა მისცა მუშათა მასებს თავისი ძალების შეგნებასთან და ისტორიულ მისიის გრძნობასთან ერთად—თეორია და მეთოდი, რომელმაც გაიმარჯვა ყველა [illegible] თეორიებზე და მისწრაფებებზე. ლენინმა მისცა მასებს ის პოლიტიკური ძალაუფლება, რომლისკენაც ილტვოდნენ ისინი და რომელსაც შეეხნენ ერთი თითით 1871 წელს. ლენინმა გამოაცოცხლა, შემოქმედებითად მარქსის თეორია რომელიც მის დრომდე იყო მხოლოდ უდიდესი გენიოსის წინასწარმეტყველება—მისი წყალობით გახდა დღევანდელი დღის სასწაულმოქმედი სინამდვილე. შეშინებულმა, არა კომუნისტებმაც კი იციან ეს და სწორედ ამიტომ ისინი მოიცვა გაურკვეველმა შიშმა, რომ პროლეტარიატის რევოლიუციონერ წინამძღოლი, ინტერნაციონალის განსაკუთრებით თვალსაჩინო ადამიანი იძულებულია ავადმყოფობის გამო დარჩეს უმოქმედოთ.

რა თქმა უნდა არავის არ შეაქვს ეჭვი იმაში, რომ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მძლავრი ორგანიზმი ბოლოს და ბოლოს დასძლევს ავადმყოფობას, მაგრამ ეს ერთი ადამიანის სიცოცხლე იმდენად ძვირფასია ჩვენი საქმისათვის, რომ მისი დაკარგვა იქნებოდა კომუნიზმისთვის და პროლეტარიატისთვის ისეთი დანაკლისი, რომ არ ძალგვიძს თავი შევიკავოთ იმ უდიდესი მღელვარებისაგან, რომელსაც იწვევს [illegible] შესახებ.

შორს ჩვენგან შავი ფიქრები, ლენინი [illegible] ჩვენთვის, ლენინი [illegible] კიდევ დიდხანს, რათა დაასრულოს თავისი [illegible] საქმე და დაინახოს თუ როგორ განვითარდება და გაიზრდება ჩვენი საყვარელი [illegible] შვილი, რუსეთის რევოლიუცია მსოფლიო რევოლიუციამდე.

(„ლიუმანიტე")

[illegible]

ეროვნული [illegible]

რადიო-ტელეგრამები

ახალი თავდასხმა პროლეტარულ თავდაცვაზე.

„როტე ფანეს“ დახურვა.

მოსკოვი. 9 აპრილი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა აკრძალა კომუნისტურ გაზეთის „როტე ფანეს“ გამოცემა.

აკრძალვა გრძელდება ორი კვირის განმავლობაში და დასაბუთებულია გაზეთის თავდასხმით საერთო გერმანიის პრუსიის მთავრობაზე, კომპარტიის ლოზუნგის პროპაგანდით, მუშათა მთავრობის შედგენის, და პროლეტარულ დიქტატურის გამოცხადების შესახებ. ზევერინგის აკრძალვა გამოწვეულია მემარჯვენეების გულის მოსაგებად, და აგრეთვე პროლეტარულ თავდაცვაზე თავდასხმით. გვიან ღამით გამოვიდა ბერლინში აკრძალულ „როტე ფანეს“ სასწრაფო ნომერი, რომელიც იტყობინება, რომ განზრახულია მთელი რიგი საპროტესტო დემონსტრაციების გამართვა აკრძალვის წინააღმდეგ.

რურის ოლქის ოკუპაცია

მარშალი ფოში მოითხოვს.

ბერლინი. 10 აპრილი. მარშალი ფოში მოითხოვს, რომ ფრანგებმა მდ რეინზე დაიკავონ ყველა ხიდები საფრანგეთის მდგომარეობის უზრუნველსაყოფათ, სანამ რეინლანდი არ იქნება გამოყოფილი გერმანიიდან.

საფრანგეთი ვერ დაუთმობს.

ბერლინი. 10 აპრილი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ განაცხადა, რომ საფრანგეთი ვერ წავა დათმობის გზაზე, რადგანაც საკონტრიბუციო საკითხს მისთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

სურთ გერმანიის დაყოფა.

ბერლინი. 10 აპრილი. „ობსერვატორიის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ ლუშერმა ლონდონში ყოფნის დროს ნათლად აღიარა, რომ საფრანგეთ-ინგლისის დაახლოვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი დათანხმდება გერმანიის დაყოფაზე.

გაჩხრეკა.

პარიზი. 10 აპრილი. რეინლანდიის კომისიის ცნობებით საარის ოლქში აწარმოებენ გერმანელ ნაციონალისტების გაჩხრეკას.

ინგლისშიც მიხვდნენ.

პარიზი. 10 აპრილი. იმის შემდეგ, რაც პუანკარემ მიიღო, ლუშერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებთან თათბირიდგან მან გამოიტანა ის შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის მდგომარეობა უმჯობესდება და ამას უკვე გრძნობენ ინგლისშიაც. არ შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმება ინგლისთან, რომ საფრანგეთს არ მიადგეს რამოდენიმე ზიანი როგორც საკონტრიბუციო ისე საფრანგეთის მდგომარეობის უზრუნველყოფის საკითხში. ინგლისში, როგორც ეტყობა, დაუმატა ლუშერმა, უკვე გრძნობენ რომ საფრანგეთსა და ბელგიას რურის საკითხში გადაწყვეტილი აქვთ იმოქმედონ ბოლომდი.

ლუშერის გეგმა.

მოსკოვი. 9 აპრილი. განადგურებულ ოლქების ყოფილი მინისტრი ლუშერი, რომელიც სურთ დაასახელონ საფრანგეთის პრემიერის თანამდებობაზე, ესაუბრა ინგლისის კაბინეტის წევრებს. საერთო აზრით ლუშერის პოლიტიკა მიმართულია რეინის დემილიტარიზაციისაკენ ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ, პრუსიელ მოხელეების განდევნისაკენ, რეინის ოლქში ავტონომიურ რესპუბლიკის დაარსებისაკენ და გერმანიის რკინის გზებზე რეინის ოლქში ერთა ლიგის კონტროლის დაწესებისაკენ.

მზადდება ინგლის-ფრანგების დაახლოვება.

მოსკოვი. 9 აპრ. გაზ. „ფორვერტსი“ დასკვნებს უკეთებს ლონდონში ლუშერის გამგზავრებას და აღნიშნავს, რომ ინგლისს და საფრანგეთს შორის მზადდება შეთანხმება. გაზეთის აზრით ლუშერი ამზადებდა ნიადაგს საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებულად გამოსვლისათვის სარეპარაციო საკითხში.

ახალი ძარცვანი.

მოსკოვი 9 აპრ. ფრანგების მიერ დაკავებულია ბოხუმის ბანკი, სადაც კონფისკაცია უყვეს 754 მილ. მარკას. ბანკის დირექტორი დაპატიმრებულია.

საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებულია აგრეთვე გროსგერაუს შაქრის ქარხანა, დარმშტადტის მახლობლად. ქარხანაში კონფისკაცია უყვეს ჭარხლის მთელ მარაგს.

უკმაყოფილება პუანკარეთი იზრდება.

ბერლინი. 9 აპრილი. პარასკევს ლუშერი დაბრუნდა ლონდონიდან პარიზში. უკეთებს რა კომენტარიებს ლუშერის ლონდონში გამგზავრებას, „ფორვერტსი“-ს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ „ეკო დე პარი“ აღნიშნავს, რომ **ლუშერის ლონდონში გამგზავრება უმთავრესად გამოწვეულია პუანკარეს გარშემო შექმნილი უკმაყოფილებით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ფართო ხასიათს ღებულობს. პუანკარეს წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ, როგორც უკიდურესი ნაციონალისტები, ისე ელისეის სასახლესთან ახლო მდგომი წრეები.**

შემთანხმებლებს ერთა ლიგის იმედი აქვთ.

მოსკოვი. 7 აპრილი. შემთანხმებელთა შრომის საყოველთაო კონფერენციამ პარიზში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც კიცხავს რურის ოკუპაციის პოლიტიკას და ერთა ლიგის შერევას მოითხოვს.

სოციალისტები უზრუნველყოფენ ოკუპანტების მდგომარეობას

მოსკოვი. 7 აპრილი. სოციალისტების მიერ რურში გაგზავნილ კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია ყოველივე ძალადობის გარეშე მოხდა. მისი აზრით საჭიროა ბელგიისა და საფრანგეთის მდგომარეობის უზრუნველყოფა.

ფრანგები ოკუპაციას აფართოვებენ.

მოსკოვი. 7 აპრილი. ფრანგებმა ოკუპაციის ზონა გაგენის მიდამოებზე გაავრცელეს და გერიეს რკინის გზის სადგური დაიკავეს.

ოკუპანტების ძალადობა.

მოსკოვი. 7 აპრილი. ბოხუმში ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს 250 მილიონ მარკას, რომლებიც დანიშნული იყვნენ სახელმწიფო რკინის გზებისათვის.

რურის ოლქში დატუსაღებულია კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ავრცელებდა ჯარისკაცებს შორის გაზეთ „ჰიუმანიტეს“-ს.

ოკუპაციის გარშემო

უკვე საიდუმლო არ არის.

ლონდონი. 10 აპრილი. პარიზის პრესა დიდ ინტერესს იჩენს ლუშერის ლონდონში გამგზავრებისადმი. ლონდონში კი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ მით, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე, როგორიც არის ლუშერი, თვითონ ჩამოვიდა ლონდონში, რათა დარწმუნდეს ინგლისის აზრში რურის საკითხის შესახებ. ეხლა ამ საკითხის შესახებ არ არის არავითარი საიდუმლო და ინგლისის შეხედულება რურის საკითხზე თემთა პალატამაც დაამოწმა. გაზეთების აზრით, უკეთუ გერმანია ეხლა წამოაყენებს სათანადო წინადადებებს, ამ გარემოებებს უნდა მიექცეს ყურადღება და მიჩნეულ იქნეს კაპიტულიაციის პირველ ნაბიჯათ.

ლუშერის მოხსენება.

პარიზი. 10 აპრილი. პარიზში ჩამოსვლისას, ლუშერმა გაუკეთა პუანკარეს მოხსენება თავისი მგზავრობის შედეგების შესახებ. „ეკო დე პარი“-ს ცნობით, შესაძლებელია, რომ ლუშერს წინადადება მიეცეს მისი მოხსენების საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრთა სხდომაზე წაკითხვის და ჩქარების შესახებ.

რეინლანდიის ინტერნაციონალიზაციის გამო.

ბერლინი. 10 აპრილი. გერმანიის პრესა რეინლანდის ინტერნაციონალიზაციას სთვლის გერმანიისაგან ამ ნაწილის წართმევის ფარულ განზრახვათ, რაიც უკიდურეს შემთხვევაში საერთაშორისო მოლაპარაკების საგნათ გახდება.

ბოიკოტი ფრანგებს.

მოსკოვი. 9 აპრილი. რურის მუშათა ორგანიზაციებმა დაადგინეს გამოუცხადონ ბოიკოტი გერმანელ ვაჭრებს, რომელნიც ჰყიდიან საქონელს ფრანგებზე. რკინისგზელები და ტრანსპორტის მუშები ხელს უშლიან ამ საქონლის გადაზიდვას.

ყვითლების თვალთმაქცობა.

მოსკოვი. 9 აპრილი. ამსტერდამის ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მას ემხრობა, გაილაშქრონ პროტესტით რურში საფრანგეთის ჯარების მოქმედების წინააღმდეგ.

ინგლისის პალატა ლუშერის ლონდონში ყოფნის შესახებ.

ლონდონი. 10 აპრილი. თემთა პალატის მუშაობის განახლების შემდეგ პირველ სხდომაზე სწარმოებდა კამათი ლუშერის ლონდონში ყოფნის შესახებ. დამოუკიდებელმა ლიბერალმა პოლკოვნიკმა ვეჯვუდმა მისცა ბონარ ლოუს შეკითხვა: ჰქონდა თუ არა მას ლუშერის ლონდონში ყოფნის დროს უკანასკნელთან რაიმე საუბარი რურის საკითხის გადაჭრის, რეინლანდის ინტერნაციონალიზაციის და აგრეთვე გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის შესახებ.

ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ ამის შესახებ მას ლუშერთან ჰქონდა საერთო ხასიათის საუბარი.

დამოუკიდებელმა ლიბერალმა კენვორტიმ შეეკითხა ბონარ-ლოუს: „მართალი არის ის ცნობები, რომ უკანასკნელმა ლუშერთან საუბრის დროს მოიწონა საფრანგეთის პოლიტიკა რურის საკითხში“? ბონარ ლოუმ უპასუხა, რომ ეს საკითხი არ იყო დასმული.

კენვორტიმ ხელმეორედ შეეკითხა: „მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიყალბეა ინგლისის და საფრანგეთის პრესის ცნობები იმის შესახებ, რომ ინგლისი იწონებს საფრანგეთის პოლიტიკას რურის საკითხში“. ბონარ ლოუმ უპასუხა, რომ მას არც ერთი ასეთი ცნობა არ წაუკითხავს.

ფრანგების ახალი მტაცებლობა.

ბერლინი. 9 აპრილი. მიულჰეიმში ფრანგებმა დაიკავეს სტამბა, რომელიც ამზადებდა ბანკნოტებს ბერლინის რეიხსბანკის დაკვეთით. სტამბა გაქურდეს და მოიტაცეს საფოსტო და ფულის ნიშნები ორი მილიარდის რაოდენობით.

სამი მილიარდი მარკის მითვისება.

ბერლინი. 9 აპრილი. ვორმსის მახლობლად 6 აპრილს ფრანგებმა ხელთ იგდეს ავტომობილი სამი მილიარდი მარკით, რომელიც ეკუთვნოდა გერმანიის რეიხსბანკს.

სულ ფრანგებმა ოკუპაციის დროის განმავლობაში მიითვისეს 280 მილიარდ მარკამდე.

ხელები ზევით.

ბერლინი. 9 აპრილი. ქალაქ ემერიხის ბელგიელ კომენდანტის ბრძანებით, დაპატიმრებულია 15 გამვლელი, რომელთა შორის იყვნენ რამოდენიმე ჰოლანდიის ქვეშევრდომებიც. გამვლელნი დაპატიმრებული არიან იმ ბრძანების დარღვევის გამო, რომლის ძალით აკრძალულია ჯიბეებში ხელების ჩაწყობა.

საიდუმლო სხდომა.

ბერლინი. 9 აპრილი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმათ სტრასბურგში ხდება რეინზე გემთა მიმოსვლის კომისიის საიდუმლო სხდომები. ამ სხდომებზე გერმანიის დელეგატები არ ესწრებიან.

ბრიტანეთის ზონის დაკეტვა.

ბერლინი 9 აპრილი. ვერმელსკირხენიდან იტყობინებიან, რომ კელნის ახლო მდებარე სიმაგრეებზე უკანასკნელი მისავალის [illegible] ფრანგების მიერ საბოლოვოთ დაკეტილია ბრიტანეთის ზონა.

ახალი ზონა.

ბერლინი. 9 აპრილი. რურიდან იტყობინებიან საოკუპაციო ჯარების მიერ ახალ სადგურებისა და მადნების დაკავების შესახებ.

კარლსრუესა და მანგეიმის ნავთსადგურებში ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს მთელი შეშის მარაგი.

ესსენის ამბები

სჯიან ბოიკოტისაკენ მოწოდებისათვის.

პარიზი. 10 აპრილი. ესსენის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ესსენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს 6 თვ-ს საპყრობილე და დაჯარიმა 800.000 მარკით იმისათვის, რომ ხელი მოაწერა მოწოდებაზე, რომელიც მოუწოდებდა ესსენის ვაჭრებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ ოკუპანტებისათვის.

მუშები სწყვეტენ კავშირს ბურჟუაზიასთან.

პარიზი. 10 აპრილი. დორტმუნდში შესდგა მუშათა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც ორატორები; აცხადებდნენ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ესსენში მომხდარ სისხლის მღვრელ ამბებისათვის, ოკუპანტების გარდა, აწევა აგრეთვე გერმანიის ნაციონალისტებსაც. კრებამ მიიღო კომუნისტ-ორატორების წინადადება, რათა მუშებმა არ მიიღონ მონაწილეობა „ნაციონალურ ერთობა“-ში ოკუპანტების მიმართ. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ტისსენის წარმოებათა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტმა მიულგეიმში.

ოკუპანტების სამხედრო სასამართლოები.

ბერლინი. 9 აპრილი. საოკუპაციო სამხედრო სასამართლომ რეკლინგჰაუზენში ესსენის ობერ ბურგომისტრის შეფერის პროცესის გადასინჯვის შემდეგ უკანასკნელს 2 წლის ციხის მაგიერ მიუსაჯა სამი წლის ციხე და ჯარიმა 6 მილიონ მარკამდე.

— ვერდენის სამხედრო სასამართლომ ესსენში დაპატიმრებულ 7 ნაციონალისტს მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლის ციხე და ჯარიმა 5 მილიონი მარკის რაოდენობით.

— [illegible] სამხედრო სასამართლომ კობლენცის და სხვა ადგილების ფოსტის მოხელეებს მიუსაჯა სამიდან-ხუთ წლამდე ციხე და ჯარიმა ხუთი მილიონი მარკის რაოდენობით.

აღშფოთება.

მოსკოვი. 9 აპრილი. გერმანიის მთელი საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია გენერალ ჟუკენის პასუხით იმ პროტესტზე, რომელიც მიმართული იყო ესსენში მომხდარ სისხლის მღვრელ ამბების წინააღმდეგ. ამ პასუხში გენერალი ჟუკენი მთელ პასუხისმგებლობას ესსენის ამბებში აწერს კრუპპის ქარხნების დირექციას. სოციალ-დემოკრატების ესსენის გაზეთი „არბეიტერ-ცეიტუნგი“ გამოდის სამგლოვიარო არშიით.

აგრარული რეფორმის დამთავრება სენაკის მაზრაში

მიწის რეფორმის გატარება სენაკის მაზრაში სწარმოებს ორი წელიწადი. ბოლშევიკური ძალაუფლების დამყარებისთანავე მიწის საკითხი საქართველოში და კერძოდ სენაკის მაზრაში იყო გამოცხადებული ერთ მთავარ საკითხად: მის გადაწყვეტას მოითხოვდა მშრომელი გლეხობა, რომელიც დარჩა მოტყუებული მენშევიკებისაგან.

გადატრიალებისთანავე, 1921 წ აპრილის თვეში, დაარსებულ იქნა თემებში მიწის კომიტეტები ღარიბეს გლეხობისაგან. საჭირო იყო ინსტრუქცია მიწის რეფორმის გასატარებლად, რადგანაც მიწის დეკრეტი იმ ხანებში არ იყო შემუშავებული. სამაზრო რევკომმა 5 აპრილს მოიწვია გლეხთა ყრილობა, სადაც შემუშავებულ იქნა მიწით სარგებლობის ინსტრუქცია, რომლის ცხოვრებაში გატარება დაევალა მიწკომებს და რევკომებს.

სულ მაზრაში 1921 წლის განმავლობაში ჩამორთმეულ იქნა 10000 ქცევამდე საყანე მიწა, რომელიც განაწილდა უმიწაწყლოთა შორის, მიწებს უტოვებდნენ სულის რაოდენობის მიხედვით იმ მესაკუთრესაც ან ყოფილ მემამულეს, რომელიც თავის ხელით დაამუშავებდა მიწას. დაქირავებულ შრომით მიწის დამუშავება აღკრძალულ იქნა. ქვრივ-ობლების და დავრდომილების ინტერესები დაცულ იქნა: ყოველ თემში გამოყოფილ იქნა რამოდენიმე ქცევა საყანე ადგილი თანამშრომლობით დასამუშავებლად, ამრიგად ყოველგან დაარსდა „კომუნა“. მშრომელ გლეხობის აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველა ხედავდა, რომ ჩვენ ქვეყანას მოევლინა გლეხურ-მუშური მთავრობა. საქართველოს რევკომმა გამოუშვა მიწის დეკრეტი № 17, დეკრეტი მაზრაში მუხლობრივად დაცულ იქნა და ამით ჩვენი ნამუშევარი უფრო მეტი განმტკიცდა. მაგრამ მაზრიდან გაეშურნენ ცენტრში უკმაყოფილო მემამულე - ფეოდალები, რათა დაეხსნათ თავიანთი ადგილ-მამული. ზოგი მემამულე შევიდა წითელ არმიაში, ზოგი რკინის გზაში, რადგანაც დეკრეტის ძალით წითელ არმიელებს და რკინის გზელებს არ ერთმეოდათ მამული, რასაკვირველია ნორმის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ცენტრში, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში, მომუშავე ძველმა ჩინოვნიკებმა და მენშევიკებმა ხელი შეგვიშალეს აგრარულ რეფორმის გატარებაში. თითქმის ყოველ დღე მოდიოდა განკარგულება შემდეგი შინაარსისა: გიძლევათ წინადადება ესა და ეს მესაკუთრე აღდგენილ იქნას ფაქტიურ მფლობელობაში. ფაქტიური მფლობელობა ნიშნავდა მენშევიკურ ნორმის ადგილ-მამულის დაბრუნებას. განკარგულებები მოგვდიოდა აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მაგალითად ასეთი შინაარსისა: დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ ამა და ამ სოფლის მიწის კომიტეტის წევრების სახელი და გვარი, მემამულეებს თან მოჰქონდათ თემებში მოწერილობის ასლი. ეს, რასაკვირველია, სოფლის მომუშავე ამხანაგებზე გავლენას ახდენდა... მაზრის მომუშავე ამხანაგები არ ვემორჩილებოდით ცენტრის ასეთ განკარგულებებს, ვიცოდით რა, რომ ისინი იყვნენ შეცდომაში შეყვანილნი... მაგრამ მიუხედავად ამისა, განკარგულება მაინც გავლენას ახდენდა და ზოგიერთ შემთხვევაში მესაკუთრეები ამა თუ იმ სახით იბრუნებდნენ ჩამორთმეულ მიწებს. 1922 წელს ცენტრიდან გამოგზავნილ იქნა მიწის მომწყობი კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენდა მიწების კონფისკაცია და განაწილება თანახმად 26 მაისის 1922 წლის შედგენილ დებულებისა. კომისიამ იმუშავა 6 თვის განმავლობაში და მუშაობა დაამთავრა მარტო ერთ თემში და მეორე თემის რამოდენიმე სოფლებში, ასე რომ მთელ მაზრაში მომწყობ კომისიას შეეძლო მუშაობის დამთავრება 7-8 წლის შემდეგ, თუ არ მოემატებოდა ტეხნიკოსები, რადგანაც მაზრაში 40 თემია.—ზემოაღნიშნულ მიზეზებისა გამო საჭირო იყო აგრარულ რეფორმის ჩასატარებლად რევოლიუციონურ ზომების მიღება.

ასეთ მდგომარეობას სრ. საქ. ცენტ. აღმას. კომ. ბოლო მოუღო და გადასწყვიტა მიწის რეფორმის ჩატარება არა მომწყობ კომისიებს, არამედ მიწის კომიტეტების საშუალებით.

დადგენილების მიღებისთანავე სამაზრო აღმასკომმა მიიღო სასწრაფო ზომები, მოწვეულ იქნა და დაგზავნილ თემებში 14 ინსტრუქტორი, შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო ინსტრუქცია და 20 თებერვალს შეუდგნენ მუშაობას ადგილობრივად.

ინსტრუქტორებს დაევალა მიწკომების რეორგანიზაცია და სისწორით გატარება სესიის დადგენილებისა. მათ დაევალა აგრეთვე სახლების ჩამორთმევა ყოფილ ფეოდალებისაგან. ერთ თვის მუშაობის შემდეგ დამთავრებულ იქნა მაზრაში მიწების კონფისკაცია და დანაწილება. მთელ მაზრაში ჩამორთმეულია კერძო მესაკუთრეებზე 12.000 ქცევამდე სახნავ-სათესი მიწა, რომელიც უკვე განაწილებულია უმიწაწყლოთა შორის. ამ რიცხვში არ შედის 1921 წლის ჩამორთმეული ადგილები. რეფორმის ჩატარებას ჰქონდა დამკვრელი ხასიათი.

სენაკის მაზრის მშრომელი ხალხი გრძნობს, რომ ბოლშევიკები მხოლოდ ეხლა მოევლინა საქართველოს; მათ დაინახეს, რომ ფეოდალებს ჩამოერთვა ყველაფერი: სახლი, კარი, ეზო, ვაჭრებს არ მიეცა არც ერთი ქცევა მიწა, მატყუარა მღვდლები განიდევნა ეკლესიებისაგან.

აგრარული რევოლიუციის პირველი საფეხური შეგვიძლია ჩავთვალოთ სენაკის მაზრაში დამთავრებულად, ეხლა საჭიროა განაწილებულ მიწების უმიწაწყლოებზე მიმაგრება—ეს კი შეიძლება მომწყობ კომისიის საშუალებით, რომლის მუშაობა გაგრძელდება რამოდენიმე წელიწადი, ამით საქმე არ შეფერხდება, ვინაიდან მემამულეების და ჩარჩ-ვაჭრებისაგან მიწა ჩამორთმეულია და განაწილებულია.

მეორე მორიგ ამოცანად შეიძლება სენაკის მაზრაში ჩაითვალოს გადასახლების საკითხი. მდინარე რიონმა და ცხენის-წყალმა გაანადგურეს აბაშის რაიონი, დაახლოებით 12 სოფელი. საჭირო შეიქნა რამოდენიმე სოფლების გადასახლება. მიმდინარე წელს განყოფილებამ დაასახლა უშიშარ ადგილებზე 300 მოსახლეობა, მსურველთა რიცხვი კი იყო 500-მდე, მაგრამ ყველამ ვერ მოახერხა გადასახლება უსახსრობის გამო. ამ გარემოებას ახლო მომავალში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს და მოეწყოს ახალშენი რამოდენიმე რაიონში წყლის დაზიანებულთათვის ისე, როგორც ეს მოწყობილია განყოფილების მიერ ღონჩარის აგარაკში.

ახალშენის მოწყობა შეიძლება საფონდო ადგილებზე, მაგრამ ერთი გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში: მცხოვრებლები უსახსრობის გამო დაშორებულ რაიონებში ვერ სახლდებიან. საჭიროა მთავრობამ გაიღოს სათანადო თანხა მათ დასახმარებლად.

მაზრაში არის ვეებერთელა რაიონი—ჭალადიდი. ეს წარმოადგენს ორ დიდ თემს, რომელიც გაჭიმულია 40 ვერსის მანძილზე მდინარე რიონის მიმართულებით. ამ ორ თემში სცხოვრობს 400 კომლი, რომლებიც არიან განცალკევებული ერთმანეთისაგან რამოდენიმე ვერსით. ამ თემებში შეიძლება გადმოვასახლოთ 1000 კომლი. გადმოსახლებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან ქირახულით, შინაური საქონლის მოშენებით და ხე-ტყის მასალით. ეს თემები თითქმის დაცარიელებულია. სასურველია რომ [illegible] მაზრიდან ამ რაიონში გადმოსახლოს უმიწაწყლონი. სენაკის მაზრა დიდის ხალისით მიიღებს ასეთებს. მართალია ჭალადიდს აქვს უარყოფითი მხარეც—ეს არის მალიარია, მაგრამ დასავლეთ საქართველოში თქვენ ძნელად შეხვდებით უმალიარიო კუთხეს. თუ მომავალში მთავრობის მუშაობის გეგმაში შევა ჭალადიდის ჭაობების ამოშრობა, მაშინ ჭალადიდი მისცემს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკას რამოდენიმე ათეულ ათას დესეტინას სახნავ-სათესათ გამოსადეგ პირველ ხარისხოვან მიწისას.

აი მოკლეთ აგრარული რევოლიუციის შედეგები სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრის მიწ.-მოქმედ. განყ. გამგე ე. შალამბერიძე.

მენშევიკების განცხადება

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი განცხადება:

სანამ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა საქართველოში, მენშევიკები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ ხალხში კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ; თითქოს კომუნისტები აწიოკებენ და არბევენ ხალხს. თხზავდნენ ისეთ ამბებს, რომ ჭკუაში მყოფი ადამიანი შეიშლებოდა. მაგრამ ყოველივე ეს იყო სიცრუე, რაშიაც დამარწმუნა ორი წლის საბჭოთა ხელისუფლების არსებობამ საქართველოში. დღეს ჩემთვის ნათელია, რომ ერთად ერთი მუშათა ხალხის ინტერესების დამცველი და საწყალი ხელებ დაკოჟრიანებული მუშის მოამაგე არის კომუნისტური პარტია, რომელმაც გაანთავისუფლა საქართველო მენშევიკებისა და მათ დამქაშ ფედერალისტ ნაციონ.-დემოკრატთა უღლისგან, მოსპო სამუდამოთ მეზობელ ერთა შორის მტრული განწყობილება, შური და შოვინიზმი და ჩამოაგდო ძმური კავშირი და სიყვარული. ორი წელიწადია ქართველ ხალხს არ ესმის ზარბაზნების გუგუნი მეზობელ ერის წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა დაისვენა და მშვიდობიან შრომას ეწევა. ასეთი მშვიდობიანობის ჩამოგდება ერთა შორის შესძლო მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ. ხალხი დღეს ზეიმობს. მეც, მენშევიკური პარტიის წევრი 1917—1918 წლამდი, ვაფასებ რა კომუნისტური პარტიის მუშაობას მუშათა კლასის სასარგებლოდ, გამოვდივარ მენშევიკური პარტიიდან და მზადა ვარ ხელი შევუწყო, რითაც შემიძლია კომუნისტურ პარტიას, როგორც ნამდვილ მუშათა კლასის ინტერესების დამცველს.

სოფლის მუშა ნიკიფორე ესეს ძე გორგილაძე.

ამავე განცხადებაზე ხელს ვაწერ **არტემ გაბრიელის ძე ფირცხალაშვილი.**

ს. ნიგოითი

2 აპრილი 1922 წ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში ეს ჩემი გულწრფელი განცხადება: მე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან 1912 წლამდე. შემდეგ ამისა არ მიმუშავია იქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ვითვალისწინებ საბჭოთა კანონებს, რომელიც ნამდვილი გამომხატველია მუშათა კლასის ინტერესების და სდევნის ბურჟუაზიას. ზიზღს ვუცხადებ მენშევიკურ პარტიას, რომელმაც გაძარცვა საქართველო. აზრთა აწონ-დაწონის შემდეგ სრულიად უთანაგრძნობ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

დიომიდე ორაგველიძე.

შუხუთის თემი (გურია).

28 აპრილი 1923 წ.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორს!

1900 წლიდან მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდან ხსენებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობა არ მიწარმოებია. ვაცხადებ, რომ აღარ ვითვლები ს. დ. (მენშევიკურ) პარტიაში და ვრჩები უპარტიოთ. მასთან დავსძენ, რომ მზათ ვარ დავეხმარო ხელისუფლებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში.

სერგო წერეძე.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ გაზეთ „კომუნისტის“ მახლობელ № ში შემდეგი:

1900 წლიდან ვითვლებოდი ს.-დ. მ. პ. (მენშევიკურ) წევრათ. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა არაფერი საწინააღმდეგო მოქმედება არ მიწარმოებია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. დღეს კი, როდესაც ნათლათ გავერკვიე სოციალურ მოძრაობაში და მის ღრმა მნიშვნელობაში, რომლის მებაირახტრედაც კომუნისტური პარტია ითვლება, დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პოლიტიკა მიმართულია არა მშრომელი კლასის სასარგებლოთ, არამედ ბურჟუაზიის (რაც ღალატია). ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლას ეწევა კომუნისტური პარტია მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სასარგებლოთ და განსათავისუფლებლათ. ამიტომ დღეის რიცხვიდან გავდივარ სოც.-დ. (მენშევიკურ) პარტიიდან და ვრჩები უპარტიოთ. არსებულ ხელისუფლებას კი სახელმწიფოებრივ - აღმშენებლობითი მუშაობაში ხელს შეუწყობ შეძლების და მიხედვით.

კოზმან დიანოზის ძე დოლიძე.

ამხ. რედაქტორო!

1914 წლიდან 1917 წლამდე მე ვმუშაობდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სამეცნიერო წრეებში. რევოლიუციის დაწყებიდან 1920 წლის დამლევამდე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიის წევრად. დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა მე არც მიმუშავნია მენშევიკებთან, არც ვმუშაობ და არც შემდეგში ვიმუშავებ, ვინაიდან საბოლოოდ დავრწმუნდი მათი პოლიტიკის და ტაქტიკის სრულს სიკოტრეში და ეხლა მთლიანად ვიზიარებ ქ. გოგოლაძის წერილის აზრს და იმ რეზოლიუციას, რომელიც გამოტანილია მთავარ სახელოსნოს მუშების, ყოფილ მენშევიკურ პარტიის უძველეს წევრების, კრების მიერ და მზათა ვარ ვიმუშაო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება-აღორძინებისათვის.

ევგენი დიმიტრის ძე კალანდარიშვილი.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოთ შემდეგი:

1919 წლიდან მე ვიყავი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დავრწმუნდი რა, რომ ნამდვილი დამცველი ღარიბი გლეხების და მუშების ინტერესებისა არის საქართველოს მმართველი კომუნისტური პარტია, ვგმობ მენშევიკური პარტიის მოღალატე პოლიტიკას მუშების და გლეხების მიმართ და ჩემ ცოდნას და ძალღონეს მოვახმარ არსებულ მთავრობას მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ.

გიორგი კონსტანტინეს ძე ჩაჩუა.

ს. დიდი ჯიხაიში.

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

მიუხედავად იმისა, რომ მე თითქმის წელიწადია, რაც საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის მენშევიკების პარტიის წევრობიდან გამოვედი, დღემდე მაინც თურმე მთვლიან მის წევრად. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ, რომ არავითარი საერთო არა მაქვს რა და არც მექნება მასთან. ვრჩები რა ყოველგვარი პოლიტიკური მუშაობის გარეშე, ჩემს ძალღონეს, ცოდნა-გამოცდილებას არ დავზოგავ, როგორც [illegible] საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

ამხ. სალამით ტერენტი ლატარია.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ მახლობელ ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე გაწყვეტილი მაქვს ყოველივე კავშირი ს. დ. პარტიასთან, რომლის წევრად ვითვლებოდი 1903 წლიდან და არც მომავლისათვის მაქვს სურვილი ხსენებულ პარტიაში დარჩენის, რადგან ამ პარტიის მიერ ძველი გზით სიარული, შექმნილ მდგომარეობაში, დაუშვებლად მიმაჩნია.

დარწმუნებული ვარ „კომუნისტის“ № 67-ში მოთავსებული ქ. გოგოლაძის წერილი ჰპოვებს ფართე გამოძახილს და კომუნისტურ პარტიასთან საერთო ენის შექმნა იქცევა სინამდვილეთ, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ნიკიტა იმნაიშვილი.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვ საშუალება მომეცით გამოვაცხადო შემდეგი!

1915 წლიდან ვიდრე საქართველოს გასაბჭოებამდე (გადატრ.) მე ვიყავი ს. დ. მენშევიკების პარტიის წევრი. გასაბჭოების დღიდან გამოვეშორდი ხსენებულ პარტიას, მაგრამ ამის შესახებ არსად არ გამიცხადებია.

ახლა ოფიციალურად ვაცხადებ ამას და თან დავსძენ, რომ ჩემი ძალღონით და შეგნების დაგვარად ხელის შემწყობი ვიქნები საბჭოთა ხელისუფლებისა.

გიორგი ს. კალანდაძე.

მოქ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ამით განვაცხადო, რომ დავბრუნდი რუსეთიდან 1919 წ. და ვიყავი ყოველგვარ პარტიას ჩამოცილებული. დღეს კი უნდა ვთქვა გულწრფელად, რომ თანაგრძნობით ვეკიდები საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის ხელისუფლებას, ვაღიარებ მათ დაუშრეტელ ენერგიას, რომელსაც იჩენს მმართველი პარტია ამ ისტორიულ ხანაში ხალხის საკეთილდღეოთ.

პატივის ცემით **სოლომონ მაჭავარიანი.**

ზესტაფონი.

ახლო აღმოსავლეთი

ამხ. არალოვის გამგზავრება მოსკოვს.

ანგორა. 9 აპრილი. დღეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი არალოვი მოსკოვს გაემგზავრა. სადგურზე ამხ. არალოვი გააცილა ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რაუფ ბეი, საგარეო საქმეთა კომისარმა კიაზიმ ფაშამ, საგარეო საქმეთა კომისარიატის მრჩეველმა იუსუფ აშკურმა, საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლკ. მულენმა და სხვებმა. ამხ. არალოვთან გამომშვიდობების დროს რაუფ ბეიმ გამოსთქვა მტკიცე იმედი, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა ურყევი იქნება და სთხოვა მას გადაეცა სალამი წითელი არმიისათვის, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ერების მეგობარია.

ახალი პარტია.

ანგორა. 9 აპრილი. მოსკოვში გამგზავრების წინ ამხ. არალოვმა ინახულა ქემალ-ფაშა, რომელმაც განაცხადა, რომ ახლო მომავალში **გამოქვეყნდება დემოკრატიული პარტიის პროგრამა, რომელსაც პირველათ ეყრება საფუძველი ოსმალეთში.**

დემოკრატიული პარტიის შექმნის გამო.

პარიზი. 10 აპრილი. დემოკრატიული პარტიის მანიფესტში, რომელიც ქემალ ფაშას მეთაურობით ეწყობა ოსმალეთში, ნათქვამია, რომ პარტია მიზნად ისახავს ოსმალეთში ზავის და პროგრესის აღდგენას. მეჯლიში მომავალ არჩევნებში ახალმა პარტიამ წამოაყენა 300 კანდიდატი.

ახალი ლოზანა

შესაძლებელია გადადება.

ბერლინი. 10 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, შესაძლებელია **ლოზანის ახალი კონფერენცია პირველ მაისამდი გადიდოს.**

ოსმალეთის დელეგაცია.

პარიზი. 10 აპრილს. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრება დღეს ირჩევს ლოზანას კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგაციას. დელეგაციის მეთაური იქნება ისმეტ-ფაშა. თუ ოსმალეთის წინადადება კონფერენციის გახსნის დღეთ 23 აპრილის დანიშვნის შესახებ მიღებული იქნა მოკავშირეების მიერ, დელეგაცია ამ კვირის ბოლოში გაემგზავრება.

ოსმალეთის პასუხის გადაცემა.

პარიზი. 10 აპრილი. გუშინ სალამოს ადნან-ბეიმ მოკავშირეების უმაღლეს კომისარებს სტამბოლში გადასცა ოსმალეთის პასუხი მოკავშირეების ნოტაზე. პასუხი შედგენილია ზომიერ კილოთი და ხასიათდება ერთგვარი თავშეკავებით ეკონომიური და ფინანსიურ კითხვებში, კერძოთ კი შერეული სასამართლოების და ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელების უფლებების საკითხში. ოსმალები გამოსთქვამენ აზრს, რომ მათ კონტრ-წინადადებებში არაფერია ისეთი, რომლის მიღება მოკავშირეებს არ შეუძლიათ. ნოტა მთავრდება ლოზანის ახალი კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრების სურვილით.

ვალების გაუქმება.

პარიზი. 10 აპრილი. **ოსმალეთის მთავრობამ აუწყა „დეტ-პუბლიკ“-ის საბჭოს, რომ ყველა ვალდებულებანი და ოპერაციები კუპონებზე 1918 წლიდან დაწყებული უკვე მომხდარი ან მოსალოდნელი გაუქმებულია.**

ახალი ინტერნაციონალი

სოციალ-გამცემლების ახალი ხოხოლა.

მოსკოვი. 9 აპრილი. შემთანხმებელთა ახალ ინტერნაციონალს, რომლის შედგენა განზრახულია ჰამბურგის კონგრესზე 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანებით, ექნება „სოციალისტურ მუშათა“ ინტერნაციონალის სახელწოდება.

ჰამბურგის და აგრეთვე შემდეგ კონგრესებზე ინგლისს და გერმანიას ექნებათ დათმობილი 30 ადგილი თვითეულს, საფრანგეთს, ავსტრიას და ბელგიას—15, დანიას—7, იმ 30 ხმებიდან, რომელიც ექნება ინგლისს, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას ექნება მხოლოდ 2. საინტერესოა აღნიშნოს, რომ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები ბრეგენტში გამართულ წინასწარ თათბირზე არ დაესწრებიან, ვითომდა პასპორტების მიღების სიძნელის გამო.

სხვადასხვა ამბები

შვედები აღნიშნავენ რუსეთში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსკოვი. 9 აპრილი **მოსკოვიდან სტოკჰოლმს დაბრუნებულმა შვეციის ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა ლევგრემმა ლიბერალურ კლუბში მოხსენება გააკეთა საბჭოთა რუსეთის შესახებ. მოხსენებაში ლევგრემმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკურ რევოლიუციაში ის ხედავს უდიდეს ცდას რუსეთის გადარჩენად მსოფლიო ომის შედეგებისაგან. ბოლშევიზმის გამარჯვებაში,— სთქვა ლევგრემმა,— უდიდესი როლი ითამაშა მასებში თავისი ადამიანური ღირსების შეგნების და სოლიდარობის ზრდამ. ლენინის პოპულიარობა, ლექტორის სიტყვით, არაჩვეულებრივათ დიდია. ლევგრემმა უარყო ყალბი ცნობები რუსეთის შესახებ და დახატა სურათი იმ უბრალო ცხოვრებისა, რომელსაც ატარებენ საბჭოთა ცნობილი მოღვაწეები.**

შვეციის დელეგაციის მეორე წევრმა ვაჭართა კლუბში წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ წელიწადში მდგომარეობა რუსეთში ძლიერ გაუმჯობესდა,

ამერიკა.

ფორსტერის პროცესი.

მოსკოვი. 7 აპრილი. 13 საათის მსჯელობის დასასრულს ნაფიცი მსაჯულებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს ვერავითარი გადაწყვეტილება ფორსტერის საქმის შესახებ. 5 აპრილს დილით თათბირი განახლდა. თათბირის მეორე დღეს ნაფიცი მსაჯულებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ შეთანხმდნენ ვერდიქტის გამოტანისათვის მოსამართლემ დაითხოვა საქმისაგან მსაჯულები და პროცესი ამით დამთავრდა. ფორსტერი განთავისუფლებულ იქნა. თუმცა შესაძლებელია, რომ ბრალმდებლის მოთხოვნით ფორსტერი ხელახლა იქნეს მოწვეული პასუხის საგებით, მაგრამ პირველ სასამართლოში მსაჯულთა შორის წარმოშობილი უთანხმოება მაჩვენებელია იმისა, რომ ამერიკაში რეაქცია თვალსაჩინოთ შესუსტდა.

საფრანგეთი,

მორიგდებიან გერმანიის ხარჯზე.

პარიზი. 10 აპრილი. „მატენის“ წინასწარმეტყველებით მომავალ კვირაში ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის შორის დაიწყება მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ შექმნან ერთიანი ფრონტი კომპრომისულ საფუძვლებზე, რომლებიც დააკმაყოფილებენ საფრანგეთის სურვილს მიიღოს კონტრიბუცია გერმანიისაგან და ინგლისის სურვილს მიიღოს გერმანიისაგან საშუალებანი ამერიკისადმი თავისი ვალების გადასახდელათ. გაზეთის ცნობით პუანკარემ მიმართა ტეუნისს და ჟასპარის სთხოვნით პარიზის მოლაპარაკების საჩქაროთ განახლების შესახებ.

თათბირი პარიზში.

ბერლინი. 10 აპრილი. „პტი პარიზიენის“ ცნობით პარასკევს ტეუნისი და ჟასპარი ბრიუსელიდან მიემგზავრებიან პარიზში პუანკარესთან სათათბიროთ. „ნიუიორკ გერალდის“ ცნობით ამ თათბირს დაესწრება აგრეთვე ლუშერიც.

იტალიის რეცეპტით.

ბერლინი. 10 აპრილი. „პტი პარიზიენის“ ცნობით პუანკარეს განზრახული აქვს შეუდგეს ახალ საკონტრიბუციო გეგმის გამომუშავებას იმ საფუძვლებზე, რომლებიც წარადგინა იტალიის მთავრობამ. ეს უკანასკნელიც მიიღებს აგრეთვე მონაწილეობას წინასწარ მუშაობაში.

შერიგების წინ

ბერლინი. 10 აპრილი. „ობსერვერი“ სწერს: თუმცა ლუშერის მიერ წარმოდგენილი კომპრომისები, ინგლისსა და საფრანგეთს შორის განხეთქილების თავიდან ასაცილებლათ, მიუღებელია ინგლისის მთავრობისათვის, მაგრამ ისინი, ყოველ შემთხვევაში, გვაძლევენ საშუალებას განვაახლოთ აზრთა გაცვლა გამოცვლა, რომელიც აუცილებელია ყოველგვარ შერიგების წინ.

ლუშერი მიემგზავრება ლონდონში.

ბერლინი. 10 აპრილი. „ივნინგ სტანდარდ“-ის ცნობით ლუშერი ახლო მომავალში მეორეთ მიემგზავრება ლონდონში.

გერმანია

სისხლის მღვრელი შეტაკებანი მემელში.

ბერლინი. 10 აპრილი. **გერმანიის მუშათა ორგანიზაციებმა მემელში გამოაცხადეს საერთო გაფიცვა, მოითხოვეს რა საალყო წესების მოხსნა, ბეჭვდისა და კრების თავისუფლების აღდგენა, დაწესებულებებში გერმანულ ენის შენახვა და პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლება.** მიუხედავად აკრძალვისა, შესდგა გაფიცულთა მანიფესტაცია და ამასთან მანიფესტანტები და ლიტვის სამხედრო [illegible] შორის მოხდა სისხლის ღვრელი შეტაკებანი.

ეშინიათ კომუნისტების

მოსკოვი. 9 აპრ. ბავარიის პოლიციამ აკრძალა მიუნხენში შესვლა ანრი მარბიუსს და აგრეთვე ინგლისელ, იტალიელ და რუს კომუნისტებს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ მიიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო მანიფესტაციაში. პოლიციამ აკრძალა აგრეთვე მანიფესტაციაც.

ფინეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის გაფართოება

მოსკოვი. 9 აპრ. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის აზრით ფრანგ გენერალის ლერონის მისია, რომელიც ვარშავაში იმყოფება და რომელიც მიილის ფოშს, მხარს უჭერს პოლონეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის გაფართოებას ამ კონვენციაში ჩეხოსლოვაკის ჩაბმით.

იტალია

არ შეუძლიათ შეთანხმდნენ

პარიზი. 10 აპრ. მინისტრთა საბჭოში მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფერენცია აბაციაში შეწყვეტილია იმის გა-

მიწის რეფორმა სურამში

მემამულეების მიწები მხოლოდ ღარიბებს გლეხობას.

გამუდმებული, დაუღალავი და შეუწყვეტელი უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში, სურამის თემის კომისიის მუშაობამ მისცა სურამის თემს ის, რომ მან დღეს დაამთავრა თემის ყველა სოფლებში მიწების ჩამორთმევა და ღარიბის გლეხობაზე გადაცემა.

დღეს სურამის თემის კომისიამ გლეხობასთან ერთად შეასრულა უდიდესი საქმე, ჩაატარა და განახორციელა გლეხობის დიდი ხნის სანატრელი მიწის რეფორმა. ამ საქმის დამთავრებით გლეხობას ეტყობათ აშკარა აღფრთოვანება და სიხარული, რომ მათთვის ასეთი უდიდესი საკითხი დააბოლოვა მუშურ გლეხურ მთავრობამ და სიტყვა აქცია საქმედ.

სულ სურამის თემში ჩამორთმეული და დანაწილებულია გლეხობაზედ 1069 დღიური მიწა; ჩამორთმეულია შემდეგ სოფლებში:

1.	სოფ. ურთხკა	27	ნახ. დღიური.
2.	„ ტაშისკარი	19 „	„
3.	„ წაბლოვანა	28 „	„
4.	„ ქემფერი	66	
5.	„ ბიჯნისი	28,75	
6.	„ ზეკოტა	7	
7.	„ ბაიანთხევი	21	
8.	„ მონასტერი	16,5	„
9.	„ ზინდისი	5,5	„
10.	„ ბერლეთი	5	„
11.	ქ. სურამი	191	„
12.	სოფ. იტრია	26,75	„
13.	„ გვერდისუბანი	39	„
14.	„ ხაშურის ტეზ.	81	„
15.	„ ცოცხნარა	27	„
16.	„ საგანისუბანი	65	„
17.	„ [illegible]	32 ნახ.	„
18.	„ ცედანი	20 ნახ.	„
19.	„ კაკალათხევი	26	„
20.	„ ყიფიანთუბანი	29,25	„
21.	„ სათივე	4,75	„
22.	„ ჩუმათელეთი	31	„
23.	„ კომკის ტეზ.	50,25	„
24.	„ ბულბულ. ცის.	15	„
25.	„ ცივწყარო	5,25	„
26.	„ ბეკამი	70,75	„
27.	„ ქვიშხეთი	114,25	„

დიდი რაოდენობა მამულის ჩამორთმევა ყოფილ თავად-აზნაურებს და ვაჭრებს, სუმბათაშვილს, ყიფიანებს, ორჯონიკიძეებს, დიტუაშვილებს, არუნოვებს და სხვა და სხვას.

იყო მათ მხრივ ბევრი ცდა ამა თუ იმ საბუთით შეენარჩუნებიათ ძველებურად მეტი რაოდენობის მიწები, მაგრამ ამაოთ.

კოტე.

მო, რომ ვერ იქმნა მიღწეული შეთანხმება საკითხში ნავთსადგურ ფიუმეს მმართველობის შესახებ.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება

რომი. 10 აპრ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების საშუალებით დამტკიცებულ იქნა, რომ მექსიკაში არსებობდა ძველათ დიდი ქალაქები. სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ჰქონდა უფრო ძველი კულტურა, ვიდრე ეგვიპტელებს.

ოსმალეთი

ახალი კანონი.

მოსკოვი. 7 აპრილი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ 5 აპრილს ეროვნულმა ყრილობამ გააუქმა კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნულ ყრილობის გამოუცვლელობას ომის დამთავრებამდის. დანიშნულია ეროვნულ ყრილობის ხელახალი არჩევნები. ალი შუქრი ფაშის სიკვდილით დაინტერესებული ანგორის პრესა ჯერჯერობით ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ეროვნულ ყრილობის ამ დიდ აქტს.

ოსმალეთში მონარქია არ იქნება

მოსკოვი. 9 აპრ. ქემალ-ფაშამ დიდ ნაციონალურ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ოსმალეთში არ არის და არც იქნება მონარქია.

ანტი-ინგლისური დემონსტრაციები

მოსკოვი. 9 აპრ. იერუსალიმში გაიმართა დიდი ანტი-ინგლისური დემონსტრაციები. დემონსტრანტები იარაღით გაფანტეს. პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭრა 16 კაცი.

ჩინეთი

ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ

მოსკოვი. 9 აპრ. კანტონის პროფკავშირებმა კუნანის მუშურ ორგანიზაციებიდან მიიღეს წინადადება დაიწყონ ბრძოლა ინგლისელ მტაცებლების წინააღმდეგ, რომლებიც ჩინელ მუშების ძვლებზე აშენებენ თავის კეთილდღეობას. გავდევნოთ,— ნათქვამია მოწოდებაში, ჩინეთიდან ინგლისელი ჯალათები და მტაცებლები და შემდეგ მივსდგეთ საკუთარ მოლალატეებს.“

ეგვიპტე

ეგვიპტეს ქალთა კომიტეტის პროტესტი

ანგორა. 9 აპრ. ეგვიპტეს ქალთა კომიტეტმა გაუგზავნა ბონარ ლოუს და ინგლისის პრესას პროტესტი ეგვიპტეში სამხედრო გემების დატოვების წინააღმდეგ.

რუმინეთი

მღელვარება რუმინეთში

პარიზი. 10 აპრ. მთელ რუმინიაში ხდება მღელვარება, რომელიც გამოწვეულია ახალი კონსტიტუციით უკმაყოფილების ნიადაგზე.

ბუქარესტში დემონსტრანტებმა დაამტვრიეს კარები და ფანჯრები თავად შტირბეის სასახლეში. მათი აზრით შტირბეი არის დამნაშავე იმაში, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩა ბრატიანოს კაბინეტი.

სამხრეთ-სლავია

კოლაროვი განთავისუფლეს.

მოსკოვი. 9 აპრილი. ვენიდან მიღებული ცნობით სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ დატუსაღებული კომინტერნის გენერალური მდივანი ამხ. კოლაროვი და ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატი პენიანი უკვე განთავისუფლეს.

შვეცია

ბრანტინგის მთავრობა გადადგა.

მოსკოვი. 9 აპრილი. შვეციის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ უარი განაცხადა უმუშევრობის შესახებ მთავრობის პროექტის დამტკიცებაზე. ამის გამო ბრანტინგის მთავრობა გადადგა. მოსალოდნელია ახალი კოალიციონური მთავრობის შედგენა ყველა ბურჟუაზიული პარტიებიდან.

ინგლისის ჯაშუში.

მოსკოვი. 9 აპრილი. გაზეთ „პოლიტიკენში“ დაიბეჭდა გამომჟღავნება ინგლისის ჯაშუშ შვეციის ჯარის კაპიტან მაგნეტზე, რომელიც ძლიერ დაინტერესებული კომინტერნის მოქმედებით. მაგნეტს კავშირი ჰქონდა ჯაშუშების ცენტრალურ შტაბთან სტოკჰოლმში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მებამბეობა იზრდება.

მოსკოვი. 9 აპრილი. ტაშკენტიდან იუწყებიან, რომ თურქმენის ოლქში ბამბით დათესილია ომამდის არსებული მოედნის ნახევარი პოლტარაცკის მაზრაში შესრულებულია 100 პროც. შეკვეთა.

ხატები არ არის საჭირო.

მოსკოვი. 9 მარტი. სარატოვში რკინისგზელთა ანტირელიგიურ მიტინგზე უპარტიო მუშები ინტერნაციონალის სიმღერით სწვავდენ თავის ბინებიდან გამოტანილ ხატებს.

კომუნისტები საჰაერო ფლოტს ეხმარებიან.

მოსკოვი. 9 აპრილი. თურქესტანის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიტანა საჰაერო ფლოტის დახმარების ფონდის სასარგებლოთ 10.000 მანეთი ორგანიზაციების წევრთა ნებაყოფლობითი შეწირულებიდან.

კულტურული შეფობა სოფლებზე.

მოსკოვი. 9 აპრილი. უეის რკინისგზელებმა მიიღეს კულტურული შეფობა მთელ რიგ სოფლებზე, სადაც ტარდება პოლიტიკური საუბრები, მოხსენებები და ვრცელდება გაზეთები.

პროტესტი ესსენის სისხლის მღვრელ შეტაკებ. ს წინააღმდეგ.

მოსკოვი. 9 აპრილი. მუშათა მრავალრიცხოვანმა დემონსტრაციამ კამენეც-პოდოლსკში გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ესსენის მუშების დახვრეტის წინააღმდეგ და ამასთან მოუწოდებს მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლისაკენ.

ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომა.

მოსკოვი. 9 აპრილი. საბჭოთა რესპუბლიკების მთელ რიგ ქალაქებიდან მოდის ცნობები ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის წარჩინებით ჩატარების შესახებ. შესდგა მრავალრიცხოვანი ანტი-რელიგიური კრებები, რომელზედაც მუშებს გამოქონდათ რეზოლიუციები აწარმოონ მტკიცე ბრძოლა რელიგიურ ცრუმორწმუნეობებთან.

კომინტერნში

იტალიის სოციალისტურ პარტიაში

იტალიის სოციალისტურ პარტიაში.

რომი. სოციალისტურ პარტიის მილანის სექციაში დაიწყო რეფერენდუმი კომპარტიასთან შეერთების საკითხის შესახებ. „უნიონისტურმა კომიტეტმა“ (სერრატი) და „სოციალისტურ დაცვის კომიტეტმა“ (ველა) წარუდგინეს ამხანაგებს გადასაწყვეტათ თავიანთი რეზოლიუციები.

„უნიონისტურ კომიტეტის“ რეზოლიუცია აღნიშნავს პარტიაში სამ ტენდენციის არსებობის ფაქტს. ეს ტენდენციები შემდეგი არიან: 1) შეერთება ყოველგვარ პირობის გარეშე (21 პუნქტის გარდა, მე-4 კონგრესის ახალ 14 პუნქტის მიღება), 2) პირობითი შეერთება, რომელიც მოითხოვს 14 პუნქტში ცვლილებების შეტანას და 3) შეერთებისადმი აშკარათ მტრული განწყობილება. კომიტეტი ფიქრობს, რომ შეერთება უნდა მოხდეს სრული გულწრფელობის საფუძველზე, რომ ყოველმა სექციამ უნდა გამოარკვიოს—სურს მას ნამდვილათ და გულწრფელათ მე-3 ინტერნაციონალთან შეერთება თუ არა. ამ მიზნით სექციამ უნდა მიიღოს 21 პუნქტი ყოველივე პირობის გარეშე, იცნოს, რომ მე-3 ინტერნაციონალის ორგანიზაცია სავსებით აკმაყოფილებს მის პროგრამას და ამგვარათ განაცხადოს მე-3 ინტერნაციონალში თავისი შესვლის შესახებ. გარდა ამისა სექციამ უნდა მიიღოს მე-4 კონგრესის რეზოლიუცია, როგორც შეერთების განხორციელების ყველაზე სწრაფი და პრაქტიკული საშუალება. იტალიაში ადგილი არ აქვს დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიას. ან ერთიანობა რეფორმისტებთან, ან ერთიანობა რევოლიუციონურ პროლეტარიატთან.

როგორც „სოციალისტურ დაცვის“ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომის კონგრესი თანახმაა მიიღოს 21 პუნქტი, მაგრამ უარს აცხადებს მე-4 კონგრესის ახალ 14 პუნქტის ცნობაზე, ვინაიდან ამას ახალ განხეთქილების გამოწვევა შეუძლია.

როგორც ჩანს, ასეთივე იქნება მომავალ სოციალისტურ კონგრესის რეზოლიუცია. ზემოთ მოყვანილ რეზოლიუციებიდან სჩანს, რომ ველას მომხრეებიც კი ვერ ბედავენ მე-3 ინტერნაციონალის წინააღმდეგ აშკარათ გამოსვლას. ველას ჯგუფის ორ აზროვან პოზიციის გამო, სერატის კომიტეტი გადაჭრით მოითხოვს საკითხის ნათლად და გულწრფელათ დაყენებას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 7 აპრილი. პრაგადგან იტყობინებიან, რომ პილზენის ქარხნებში ს ქარხნო კომიტეტების არჩევნებმა კომუნისტებს მისცა 2500 ხმა და 6 მანდატი უწინ კომუნისტებს ჰქონდათ 2 მანდატი. ახალი მანდატები მათ მიერ შეძენილია მემარჯვენე სოციალისტების ანგარიშზე.

ირჩევენ კომუნისტებს.

მოსკოვი. 8 აპრილი, ბერლინიდან მიღებული ცნობებით, ლიბეხის ქალაქის საბჭოს არჩევნებზე კომუნისტებმა მიიღეს 11 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა 4 ადგილი, ბურჟუაზიულმა პარტიებმა—12 ადგილი.

ერთიანი ფრონტით.

მოსკოვი. 8 აპრილი. უნგრეთის პროფკავშირთა ყრილობაზე, რომელიც შესდგა ბუდაპეშტში, მიღებულია რეზოლიუცია პროფკავშირების გაერთიანების და ერთიანი ფრონტის შესახებ. მწარმოებელთა კავშირის წინააღმდეგ.

გაფიცვები მატულობენ.

ბერლინი. 7 აპრილი. ამ ბოლო ხანებში პორფულკეში მუშა ფერმერთა შორის გაფიცვები ფართე ხასიათს ღებულობს.

კიდევ შეტაკება.

ბერლინი. 7 აპრილი. როიტერის სააგენტოს ცნობით, აბერდინში კიდევ მოხდა შეტაკება გაფიცულ მეთევზეთა და შტრეიკბრეხერთა შორის.

ინვალიდების დახმარების კვირა.

მოსკოვი. 7 აპრილი. 9—24 აპრილამდე საერთო რესპუბლიკანური მასშტაბით ეწყობა ინვალიდების დახმარების კვირა. მოწყობილი იქნება ქუჩებში ფულების შეკრება, გამოშვებული იქნება საფოსტო საგანგებო მარკები, მზადდება გასაყიდათ საგანგებო ქვიტრები და გამოშვებული იქნება სპეციალური გაზეთი „ნავსტრეჩუ“. განზრახულია ამ დღის გამოიცეს გაზეთების სპეციალური ნომერი. ამას გარდა ცაკი აწყობს ფასიან ლატარიას, რომლის შემოსავლიდან ნახევარი მოხმარდება ინვალიდებს, ხოლო მეორე ნახევარი უპატრონო ავადმყოფ ბავშვებს.

პროლეტარული ბავშვის საერთაშორისო კვირა.

მოსკოვი. 7 აპრილი. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა 24—30 ივლისს მოაწყოს პროლეტარული ბავშვის დახმარების საერთაშორისო კვირა.

გაფიცვა.

პარიზი. 10 აპრილი. ლილში შრომის ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლის ნიადაგზე გამოცხადდა დღეს საქსოვ ფაბრიკების მუშათა გაფიცვა.

კომუნისტები პროფკავშირში.

მოსკოვი. 9 აპრილი. მიუნხენის ხის დამმუშავებელთა კავშირის გამგეობის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 15 ადგილიდან 14.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა.

სინაგოგა – კომკავშირს.

ქუთაისი. 6 აპრილი ქუთაისის სინაგოგა ჩამოერთვა და გადაეცა კომკავშირს.

ეკლესიის განძეულობა თეატრისათვის.

ქუთაისი. 6 აპრილი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომი შუამდგომლობს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ყველა ის განძეულობა რამდენიმე მილიარდ მანეთად ღირებული, რომელიც ჩამორთმეულ იქნა ქუთაისის სამღვდელოებას სობოროში გადაეცეს აღმასკომს თეატრის ასაგებათ.

განათლების მუშაკთა სახლი.

ქუთაისი. 5 აპრ 5 აპრილს დიდის ზეიმით გაიხსნა განათლების მუშაკთა სახლი.

აფხაზეთი

სოხუმი. 6 აპრილი აფხაზეთის გამოფენის კომიტეტთან დაარსდა გამოფენის საბჭო. ეს საბჭო წარმოადგენს გამოფენის კომიტეტის სექციონ ორგანოს. მასში შედიან გამოფენის ყველა განყოფილებათა გამგეები. აფხაზეთის მაზრებში დაარსდა აგრეთვე სამაზრო გამოფენის კომიტეტები. საპედაგოგიო ტეხნიკუმთან ტეხნიკუმის მსმენელებისგან არსდება გამოფენის ხელისშემწყობი კომისია.

კომერციული სააგენტო.

სოხუმი. 6 აპრილი. აზიის შავი ზღვის ნაპირების სახელმწიფო გემთ მიმოსვლის სამმართველომ კომერციული მიზნით მოსკოვში გახსნა სახელმწიფო გემთ მიმოსვლათა ცენტრალური კომერციული სააგენტო. განყოფილებანი იქნება გახსნილი აგრეთვე ყველა ქალაქებში, მათ შორის სოხუმშიც სააგენტოს ფუნქციებს შეადგენს სავაჭრო საკომისიო, საექსპედიციო და სატრანსპორტო ოპერაციები.

ლტოლვა კავშირისკენ.

სოხუმი. 6 აპრილი. სოხუმის ნავთსადგურის კომიტეტში შემოვიდა სამხრეთ სლავიის გემის „მიხეილ არხანგელ“-ის მეხანიკის განცხადება წყლის მუშათა კავშირში შესვლის შესახებ. არის აგრეთვე ცნობები, რომ წყლის მუშაკთა კავშირში აპირებენ შესვლას სამხრეთ სლავიის გემის დანარჩენი მეზღვაურებიც.

ასი პროცენტით.

გუდაუთი. 6 აპრილი. გუდაუთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის სამაზრო კონფერენციაზე მაზრის კომიტეტის მდივანმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც მან აღნიშნა, რომ შვიდი თვის მუშაობით მაზრაში მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. გაზეთების კოლექტიური კითხვამ, პოლი-წრეებმა და პროფკოლექტივებმა შესძლეს კულტურისა და განათლების ორგანიზაციების 100 პროც. გაძლიერება შედარებით მეორე ყრილობამდის არსებულ დროსთან.

სასურსათო გადასახადის კამპანია.

სოხუმი. 6 აპრილი. სასურსათო სახ. კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებით სასურსათო გადასახადის ერთ ფუთ სიმინდის ფასათ დაწესებულია 140,000 მანეთი. მარტის უკანასკნელ რიცხვამდე მთელ აფხაზეთში შემოვიდა სასურსათო გადასახადი: გაგრის მაზრაში სიმინდი—1520 ფ., ღვინო 3715 ვედრო, გუმისტის მაზრაში 8800 ფუთი სიმინდი და ფულათ 200 მილ. მანეთი, კოდორის მაზრაში 1500 ფ. სიმინდი და სამურძაყანოს მაზრაში —13 609 სიმინდი.

გოგირდი აბრეშუმის თესლზე გადაცვლილათ.

სოხუმი. 6 აპრილი. მიწადმოქმედების კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა მიწადმოქმედების ქარხნების განყოფილებებს იქონიონ დამოკიდებულება საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატის მეაბრეშუმეობის განყოფილებასთან გოგირდის გადაცვლის შესახებ აბრეშუმის თესლზე და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე.

სომხეთი

რევიზია.

ნახიჩევანი. 7 აპრილი, ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის რევიზიამ დაამტკიცა, რომ კანტორის საქმე დამაკმაყოფილებელია.

სასოფლო-ს მეურნეო პუნქტები.

ერევანი. 9 აპრილ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი სასოფლო სამეურნეო პუნქტებისათვის სამეურნეო იარაღებსა და მანქანებს ამზადებს გლეხებისათვის დასარიგებლათ.

საბჭოთა მეურნეობებში.

ერევანი. 9 აპრილი. პირველი საბჭოთა მეურნეობაში გამოყოფილია ბამბის დასათესათ 20 დესეტინა მიწა, თამბაქოს კულტურისათვის 6 დესეტინა.

თესვის კამპანია.

ერევანი 9 აპრილი. სოფელ ნორაგავიტში, კურდუკულსა და ეჩმიაძინში გაიმართა ფართო მასების თათბირი, რომელზედაც განმარტებული იყო ბამბის თესვის პირობები. თესლის გარდა დარიგებული იქნება სუბსიდიები სურსათის, მანუფაქტურის და, აგრეთვე, ფულის სახით. თესლი იმ მეურნეობებს მიეცემა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მორწყვით.

სარდარაბადში მიღებულია ბამბის თესლის ახალი პარტია ხუთი ვაგონის რაოდენობით, ერევანში—6 ვაგონი.

სევანის ტბა

ერევანი. 9 აპრილი. დადგენილია სევანის ტბის ექსპლოატაცია იჯარათ გადაეცეს კერძო პირებს.

გერიუსის აღდგენა.

გერიუსი. 9 აპრილი. გერიუსში თანდათან წესრიგი ეწყობა იწმინდება ქუჩები, ბულვარები და არხები.

კალიასთან ბრძოლა

გერიუსი. 9 აპრილი. გერიუსის აღმასკომმა კალიასთან ბრძოლისათვის 1000 ფუთი ხორბალი გაიღო.

ბაღდადის რაიონი

(ქუთაისის მაზრა)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ეს ის რაიონია, რომლის მშრომელი გლეხობა მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკურ მთავრობას და მის დამცველ „სახალხო“ გვარდიას; სწორედ ამ რაიონში იყო, რომ მოთმინებიდან გამოსული გლეხობა აჯანყდა და გაეშურა დ. ბაღდათისაკენ, სადაც იდგა მენშევიკური ჯარი მეფის თეთრგვარდიელ პოლკოვნიკების ხრისელის და ზაქარიაძის მეთაურობით. როგორც საერთოდ საქართველოს ყველა კუთხეებში, ისე აქაც, მენშევიკები შეუბრალებლად მოეპყრნენ აჯანყებულთ და სისხლში ჩაახრჩვეს ეს გამოსვლები. აჯანყების მონაწილენი, ადგილობრივი გლეხები და მუშები ადგილზევე—ციხის ხიდთან იქნენ დახვრეტილნი (7 კაცამდე).

მართალია ამ გზით ჩაახრჩვეს ეს აჯანყება, მაგრამ მალე მოეღო ბოლო მათ ბატონობასაც და დღეს იმ მიდამოებში, სადაც ასე მხეცურად დახოცეს გლეხები და მუშები, ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის წითელი დროშა.

რა თქმა უნდა, ასეთი მოქმედების შემდეგ, აქ დღეს მენშევიკურ აგენტებს აღარავითარი გასავალი არ ექნებათ და სიახლოვესაც ვერ გაეკარებიან იმ გლეხობას, რომლის სისხლი ასე შეუბრალებლად დაღვარეს 1918 წელს.

როგორც სხვაგან, ისე ამ კუთხეშიაც ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა და გლეხობა თანაგრძნობით ეპყრობა მუშურ-გლეხურ მთავრობას. სასურსათო გადასახადის 100 პროც.-ის აკრება, შრომის ბეგრის მოხდა, მიწის რეფორმის სისწორით და უმტკივნეულოდ გატარება და სხვა მრავალი ასეთი მომასწავებელია, იმის, რომ გლეხობა ჩვენთან არის და კომუნისტურ პარტიასთან ერთად ჩაბმულია აღმშენებლობითი მუშაობაში, რომლის მიზანია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და გამაგრება.

აქაურ ხალხს კარგად ახსოვს მენშევიკების დროის მოხელეების აღვირახსნილი მოქმედება, როდესაც ზევიდან ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და მით საშუალებას აძლევდნენ თავისუფალ მოქმედებისა. დღეს კი მდგომარეობა ძირიან-ფესვიანათ შეცვლილია. თუ კი უმაღლესი მთავრობა შეამჩნევს თემების აღმასკომების რომელიმე წევრის ანუ სხვა ვინმე მოსამსახურის უწესო მოქმედებას, ის მაშინვე შესაფერ ადგილს მიუჩენს ასეთ ვაჟბატონს. ზეკარის თემის აღმასკომის თავმჯდომარე პ. აკიმიძე სატუსაღოშია დღეს იმ უწესო მოქმედებისათვის, რომელსაც ის სჩადიოდა სამსახურის ასრულების დროს. მასთან ერთად არიან ყველა ის პირები, რომლებიც ამ მოქმედებაში მას ხელს უწყობდნენ. ბაღდათის თემის ერთი სოფლის ვინმე ასისთავი თურმე დიდ ბოროტმოქმედებებს სჩადიოდა თუ ქრთამების აღებით, თუ ხალხის შევიწროვებით და სხვა. მას ისე გაუტკბა ასეთი ცხოვრება, რომ ამ თანამდებობისათვის მოცილებაც არ უნდოდა. ამ თანამდებობაზე იყო ის თურმე ნიკოლოზის დროს, მენშევიკების დროს და შემორჩა ჩვენ დროსაც. მაგრამ ის საბჭოთა ხელისუფლების დროს მალე იქნა შემჩნეული ბოროტმოქმედებაში და დღეს იქ ზის, სადაც მისთანებს შეეფერებათ... და რამდენი სხვა ასეთი მაგალითები ჩამოვთვალოთ.

ყველაფერ ამას ხედავს გლეხობა და გამოყავს დასკვნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სიმართლეს ემხრობა; ის არის პატრონი მშრომელების, მუშების და გლეხების ხელისუფლება, რომელიც შეუბრალებლად და სასტიკათ ეპყრობა ბოროტ მოქმედთ, რა მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეთ მათ.

რელიგია.

დაწყებული ბრძოლა ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგ ყველგან ფართოვდება და გამოძახილს პოულობს გლეხობაში რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ჩვენებურ პროვოკატორებმა, რომ ვითომდა ხალხს ძალით ერთმევა ეკლესიები, შეურაცყოფილია „მორწმუნენი“ და სხვა, მათი ხმა მათვე არ გაშორდებათ და არავინ გამოეხმაურება. ბრმებისთვისაც კი ნათელია დღეს, რომ ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ეკლესიების ჩამორთმევა და სხვა ამგვარი, ხდება არა ძალდატანებით ზევიდან, არამედ თვით ხალხის მოთხოვნილებით. იმ ხალხის, რომელიც აქამდე გონებადახშული იყო და თავის უკანასკნელ შემლევას სამღვდელოებას აძლევდა. ამ ხალხმა დღეს გაიგო, თუ რა ყოფილა რელიგია, და მოითხოვს მასთან შეუბრალებელ ბრძოლას, მოითხოვს სამღვდელოების გასამართლებას ამდენი ხნის მატყუარობისათვის და ხალხის გონების დაჩლუნგებისათვის. თითქმის ჩამორთმეულ ეკლესია მონასტრის შესახებ ჩვენ გვაქვს მათში შემავალი (ერთ დროს) ხალხის დადგენილებები. ყოველთვის ჩამორთმევის ინიციატორი და მეთაური თვით ხალხია.

ბაღდადის რაიონშიც ანტი-რელიგიურ აგიტაციას ფართო ხასიათი აქვს მიღებული. კეთდება მოხსენებები, რასაც გლეხობა დიდი ინტერესით ეკიდება. 25 თებერვალს გორის თემში რელიგიის შესახებ მოხსენების გაკეთების შემდეგ, ერთმა უპარტიო გლეხმა შეიტანა წინადადება, რათა გასამართლებული იქნეს სამღვდელოება მატყუარობისათვის. მიტინგმა ერთხმოვნად გამოიტანა ასეთი დადგენილება. ეკლესიები თითქმის ყველასაგან მიტოვებულია. არის შემთხვევები, რომ უპარტიო გლეხები სამოქალაქო წესით ასაფლავებენ მიცვალებულებს, ამავე წესით ქორწინდებიან და სხვა.

გლეხობა გათვითცნობიერების გზაზეა დამდგარი. ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ ეს გათვითცნობიერება ჩქარი ტემპით წავიდეს წინ.

განათლების საქმე.

სამ თემში არის მთლიანი სკოლები, დანარჩენ ორ თემში და თითქმის ყველა სოფლებში არამთლიანი სკოლებია. სულ რაიონში არის სამი მთლიანი სკოლა და 16—არამთლიანი, სულ 45 მასწავლებელია, მოსწავლეთა რაოდენობა კი 1180-მდე აღწევს. შენობები ყველგან დამაკმაყოფილებელია.

ბაღდადში ადგილობრივი ახალგაზრდობიდან შემდგარია სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც მართავს დროგამოშვებით წარმოდგენებს და საღამოებს. თეატრი ამდენხანს ნაქირავებ შენობაში იყო, მაგრამ ეხლა განზრახულია მ. გოგუაძის სახლის ჩამორთმევა და ამის შემდეგ თეატრს საკუთარი სახლი ექნება.

სამკითხველოები არის ბაღდადში და ღიმში ადგილობრივი აღმასკომის ხარჯზე; არის აგრეთვე დანარჩენ თემებშიაც, მაგრამ იქ ვერ არის საქმე შესაფერად დაყენებული და ამას უნდა მიაქციოს ყურადღება თემების აღმასკომებმა.

ძალიან დაგვიანებით მიდის თემებში გაზეთები და სხვა კორესპონდენცია და ამის მოგვარებას უნდა მიექცეს ყურადღება.

საერთოდ განათლების საქმე შესაფერ დონეზეა დაყენებული, მაგრამ საჭიროა ამ დარგისადმი კიდევ მეტი ყურადღება, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისათვის აუცილებლობას შეადგენს მშრომელი ხალხის—მუშების და გლეხების განათლება და გათვითცნობიერება.

მიწის საკითხი.

ხალხი აქ საშუალო შეძლებისაა. რაიონის ნაწილის მდებარეობა ვაკეა და ნაწილის კი—მთაგორიანი. ვაკე ნაწილის მიწები ნოყიერია, მთაგორიანის კი არა. გლეხობა ზოგან მევენახეობას მისდევს (განსაკუთრებით ბაღდადის თემში) და ზოგან—ხვნათესვას. ამ რაიონში არის ანანოვის ყოფ. მამულები, რომელიც მიწადმოქმედების კომისარიატის ხელშია. მუშაობს სამი ქარხანა მაგარი სასმელების სახდელი—კონიაკის, ღვინის და შამპანიურის. ვენახებს, ქარხნებს და მამულს მიჩენილი ყავს შესაფერი გამგეობა.

მიწის რეფორმა რაიონში თითქმის უკვე სრულებით გატარებულია ჩამორთმევა დათავებულია და ეხლა სწარმოებს დარიგება.

ბაღდადში საჭირო იყო სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის შენობები და ვენახიც კი შეიძლებოდა ასეთები ჩამოართვა მიწის კომიტეტმა.

ზეკარის თემში იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც ნორმაზე მეტი მიწა ექნეს. სახრდო სახაზინო მიწებზე, მოყავს გლეხობას, რომელიც ეხლა მიწის კომიტეტის ხელში უნდა გადავიდეს და დაურიგდეს უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს.

სადემეტრაოს თემშიც ძლიერ მცირე მიწის მქონე გლეხებია. აქაურებს ჰქონდათ ანანოვისეულ ადგილებში ყანები, მაგრამ იქ ჩაასახლეს წყალდიდობით დაზარალებული სოფ. ვარციხის მცხოვრებნი და აქაურები კი უადგილოთ დარჩნენ. ამის ნაცვლად მათ ნათხოვარი აქვთ სახელმწიფო მიწები სახელწოდებით „სამეურნეო“ და ამის მიცემა, რამდენადაც ვიცი, უკვე გადაწყვეტილია, მხოლოდ საჭიროა დაჩქარებით მიიზომოს ეს ადგილი გლეხებს. ამ კითხვის მოგვარებამდე თემის მიწკომი ვერ შესდგომია ფონდში გადასულ ადგილობრივი მიწების დანაწილებას, რადგან ისინი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ აქაურ მცირე მიწების მქონე და სრულიად უმიწაწყლო გლეხების მოთხოვნილებებს.

არხები, ხიდები და გზები.

ბაღდათის თემში 1921 წელში დაიწყო არხის გაყვანა, რომელიც გამოდის „ხანის წყლიდან“ და უკვე გაჭრილია 4 ვერსის მანძილზე. მუშაობა სწარმოებდა გასული წლის აგვისტომდე, ამის შემდეგ კი შეჩერდა უსახსრობის გამო. დაწყებული საქმის დასაბოლოვებლად თემის აღმასკომს მართებს ენერგიული ზომების მიღება, მთავრობამ კი შესაფერი ნივთიერი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ საქმეს. გათავების შემდეგ ეს არხი მორწყავს 2000 დესიატინამდე მიწას.

ბაღდათის თემს შუაზე ყოფს მდ. „ხანის წყალი“ ისვე აშორებს ერთმანეთს ბაღდათის და კიკნაველეთის თემებს. ამ წყალზე ხიდის გაკეთება დაიწყო ორივე თემების გლეხობამ, მაგრამ წყალდიდობის დროს დაწყებული ხიდი წყალმა წაიღო და გაწეულმა შრომამ ტყვილა ჩაიარა. საჭიროა საქმის ხელ-ახალი დაწყება.

კიკნაველეთის თემში გაკეთებულია ორი ხიდი და მესამე კეთდება ეხლა მდ. „საკრეულა“-ზე

საერთოდ სწარმოებს სათემო და სასოფლო ხიდების და გზების შეკეთება.

კოოპერაცია,

არსებობს საკმაოდ ღონიერი კოოპერატივი ბაღდათში. არის აგრეთვე კოოპერატივები ღიმში, სადემეტრაოში და გორაში. საჭიროა ბაღდათის კოოპერატივი დაჩქარებით გადაკეთდეს რაიონულ მრავალ-განყოფილებიან სისტემის კოოპერატივათ, რათა მან გახსნას განყოფილებები ყველა თემებში და საერთოდ კოოპერაციის მდგომარეობა რაიონში უკეთეს პირობებში ჩააყენოს.

ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ბაღდათში არის საექიმო პუნქტი, საავადმყოფო და აფთიაქი. პუნქტში ორი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთი ბებია ქალი. პუნქტი ემსახურება მთელ თემს.

ზეკარის თემში გადაწყვეტილია ექიმის დაქირავება. ერთ თვეზე მეტია, რაც მთავრობის ხარჯზე აქ მუშაობს ექიმი გავრცელებულ ტიფის გამო.

კიკნაველეთის თემის აღმასკომს დადებული აქვს ბაღდათის ექიმთან ხელშეკრულება, რომელმაც (ექიმმა) უნდა იაროს ამ თემში კვირაში ორი დღე და დანიშნულ ადგილზე მიიღოს ავადმყოფები.

სადემეტრაოსა და გორას თემებში არის თითო ექიმი.

* * *

ეი ასეთი მდგომარეობაა აქ და ყველაფერი ეს არის გაკეთებული იმ რაიონში, სადაც მენშევიკებს, სამი წლის ნახევრის განმავლობაში საქართველოში ბატონობის დროს, არაფერი არ გაუკეთებიათ გარდა ეგზეკუციებისა და გლეხების შემუსვრა—დახვრეტისა.

იაგო.

პატარა ფელეტონი

ვერ ამჩნევს!..

რომი. 5 აპრილი. ესსენში მომხდარ სისხლის ღვრის გამო საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა პროტესტი.

მოსკოვი. 5 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიჭირეს რა ახალი სადგური და საავტომობილო ფაბრიკა, აფართოებენ ოკუპაციას. ამის შესახებ ბ. კუნოს მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას სასტიკი პროტესტი.

(დეპეშებიდან).

ფრანგების წინსვლას არ აქვს საშველი,
არც კუნომ უშვა პროტესტებს ხელი...
რომ პუანკარე დიდათ ხარბია,
რომ სთქვა, რომ „მიწა მიწას აბია“,
ამ ფიხტიბრო „რურის ამღებმა“,
ეს დღეს ჩვენშიც კი იცის ბალღებმა!..
მაგრამ რას გასჭრის აქ „სიტყვა მკვახი“?!
უნდა აიღოთ ხელში მათრახი,
ან უარესი რამე „ნაგანი“,
რომ სულ აუწვა ამ „მსუნაგს“ კანი!
და მხოლოთ მაშინ შეიგნებს იგი,
რომ ქვეყნის რბევა არ არის რიგი!
კუნო კი „პროტესტს“ აცხობს და აცხობს,
მაგრამ ახ, ამით, თითქოს ვერ ატყობს,
რომ ის კრილოვის ჰგავს გონიერულს
„ნატაკიებით“ ცნობილს „მზარეულს“!!

ონისიმე.

კოოპერაცია

აჭარის კოოპერატივები

აჭარის სოფლებში დღევანდლამდის კოოპერატივები ვერ იჩენდენ მაინც და მაინც დიდ აქტივობას. აჭარის საბჭოთა სამივე ყრილობაზე ეს საკითხი სავსებით გამოარკვიეს და შეუდგენ მის ცხოვრებაში გატარებას. ამ შემთხვევაში, ლაპარაკი არ უნდა ცეკავშირის ბათუმის განყოფილებამ სათანადოთ გამოიყენა თვით აჭარლებთა სურვილი და მისწრაფება. არ აიწერება ის ენტუზიაზმი და ერთსულოვნება, რომელსაც იჩენენ აჭარლები კოოპერატივების გახსნაში.

ამ ჟამად აჭარის 5 რაიონში უკვე გახსნილია მომხმარებელი კოოპერატივები. ასეთი რაიონები არიან: ხულო, ქედა, აჭარის წყალი, ქობულეთი და ბათუმის რაიონი. მათ უკვე მიეცათ 1000 ფუთი ნავთი, 500 ფუთი მარილი, შაქარი და სამკალეულო საქონელი.

ამ დღეებში კოოპერატივებს კიდევ გადაეგზავნება დიდძალი საქონელი, მათ შორის, მანუფაქტურაც.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(10 აპრილი)

ოქროს 10 მანეთიანი—7,875, დოლარი—975, გირვ. სტერლინგები—4,450, ლირა—775, საბჭოთა ფულის ნიშნები—14 5.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(10 აპრილი)

ოქროს ნაჭერი—96 სასინჯ.—3 მ. და 40 კაპ., ოქრო 56 სასინჯ.—1 მ. და 70 კაპ., ვერცხლი—84 სასინჯ.—7,75 კაპ. ერთი მანეთი ვერცხლის ფული—18,5 კაპ.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

(10 აპრილი)

დილიდანვე განწყობილება მტკიცეა, ფასები როგორც ოქროს ისე ქაღალდის ვალიუტაზე მტკიცეა.

ბირჟის საქონლის განწყობილების მიწოდება.

ბურღული—2 ვაგონი, შაქრის ფხვნილი, წუმწუმა, მინა, მატყლი, ბამბა, რკინა, ქერამი, მანუფაქტურა, ჩაი, ყველი შვეიცარული, ბარიბი, ნაწლავები, სკიპიდარი, ცემენტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ყუბანის ფქვილი 1 ხარისხ. სარდინი, შაქრის ფხვნილი, შაქარი რაფინადი, მზესუმზირას ზეთი, საალებრნელო მასალები, ხორბალი ადგილობრივი, სპირტი ამერიკული.

ოფიციალური გარიგებანი.

(10 აპრილს).

დადებულია გარიგება შაქარზე 6 მან. და 80 კაპ. ფუთი გამყიდველის ს წყობში გადატანით. მყიდველია კოოპერატიული ორგანიზაცია.

ტფილისის ბაზრის განწყობილება.

(10 აპრილს).

საერთო განწყობილება მტკიცეა, არის ფასების აწევის ტენდენცია. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა.

„ჩემოში“.

29 აპრილს იხსნება საზ. „ჩემოს“ წევრთა წლიური საზოგადო კრება, რომელზედაც განიხილავენ 1922 წ. ანგარიშს.

მუშათა მთლიან კოოპერატივის ფასები.

(10 აპრილს).

თეთრი პური—20, შავი—10, საპონი მარმარილო—100, საპონი „ტრილი“—100, ყუბანის ფქვილი—36, ლობიო—12, წუმწუმა—10—13, შაქარი—120.

სტუდენტების ჟურნალი

უახლოეს ხანში სწავლა-განათლების სახალხო კომისარიატის თაოსნობით, გამოვა სტუდენტების ჟურნალი „სტუდენტების ცხოვრება“.

რედაქცია ღრმად არის დარწმუნებული, რომ სტუდენტობის ბეჭვდითი ორგანო იპოვის ფართო გამოძახილს სტუდენტურ მასაში, მასწავლებელთა და პროფესორთა იმ ნაწილში (წრეში), რომელიც წინ უძღვება მოწინავე ნაწილს სტუდენტობისას უნივერსიტეტის ცხოვრების ახალ საარმშენებლო საკითხების გადაჭრაში უნივერსიტეტის პროლეტარიზაციის საფუძველზე და აგრეთვე მთლიან ერთიანობას, ურთიერთ გაგებას და ნდობას.

საკითხები პროლეტარული იდეოლოგიის უნივერსიტეტის კედლებში საკითხები აკადემიური, კულტურული და სტუდენტობის ეკონომიური ცხოვრების, ყველა საჭირბოროტო საკითხები, რომლებითაც ცხოვრობს სტუდენტობა აი ის პლატფორმა, რომელიც იქნება ჟურნალის მუშაობის ბაზისად (ფუძეთ).

რედაქცია სთხოვს ამხანაგ სტუდენტებს მოაწოდონ მას წერილები და მით ხელი შეუწყონ თავის საკუთარი ბეჭვდით ორგანოს გამოცემის წარმართვას.

გამოგზავნილი ხელნაწერები უნდა იყვეს დაწერილი სუფთად და ერთგვერდზე, მასთან რედაქცია იტოვებს უფლებას გამოგზავნილ წერილების შესწორებისას და შემოკლებისას.

ხელნაწერების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 ს-მდე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (სტუდენტთა საბჭოს ოთახში).

ჟურნალის რედაქცია.

ქრონიკა

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **დახმარება.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიწათ-მოქმედების კომისარიატის ქირურგიული ხელსაწყოების შესაძენათ გადაიცა 2000 მან. ოქროთი.

— **საქართველოს ლითონის მრეწველობის გასაძლიერებლათ.** ა. კ. კომისართა საბჭომ დაადგინა, მისცეს 8 მილიარდი მანეთი სესხათ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სალითონო განყოფილებას.

— **სესხი.** ამავე კომისართა საბჭომ სესხის სახით გადასცა კოოპ. ამხ. „კულტურას“ 20 ათასი მან. ოქროთი. რკინის გზის სამმართველოს 75 მილიარდი მანეთი.

საქარ. სახ. მეურ. უმაღ. საბჭოში.

— **ფარულად თამბაქოს გაყიდვის წინააღმდეგ.** საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა კომისარიატის და საქციზო მთავარი მმართველობის წინაშე მიიღონ სათანადო ზომები ფარულად თამბაქოს გაყიდვის მოსასპობად.

— **ღვინო მეზობელ რესპუბლიკებს.** სახელმწიფო ღვინის ტრესტმა დაადგინა მისცეს მეზობელ რესპუბლიკებს 10 პროც. ნაკლებ ფასებში ღვინო.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ლექციების მოწყობა.** ტფილისის მაზრის აგრონომიული ორგანიზაცია მთელ მაზრაში აწარმოებს ფართო მუშაობას აგრონომიულ ცოდნის გასავრცელებლად.

რეგულიარულად მოწყობილ იქნება ლექციები მემინდვრეობიდან, მევენახეობიდან, მეხილეობიდან, სართაჭალის და საგარეჯოს რაიონში. საღამოობით იმართებოდა ლექცია საუბარი და დილაობით კი პრაქტიკული მუშაობა.

— **სანერგეები.** ტფილისის მაზრის აგრონომიულ განყოფილებას მოწყობილი აქვს სამი სანერგე წავკისში სართაჭალაში და დიღომში. განზრახულია სადედე-საჩვენებელ მინდვრების მოწყობა მანგლისში, სართაჭალაში, მარტყოფში და მალხაზოვკაში. საცდელ მინდვრებისათვის გამოყოფილი ადგილები უკვე არჩეულია და ამ ჟამად მათი დახვნა სწარმოებს.

მუშათა ცხოვრება

სალამი მუშებს.

მუშა ხნავს და მუშა თესავს;
მუშა ლეწავს ოქროს ყანას;
მუშა კვებავს, მუშა მოსავს,
ასაზრდოებს მთელ ქვეყანას.

მუშის ხელი ჰქმნის ყველაფერს:
აღნობს რკინას, ამ ხვრევს მთებსა
და აშენებს თვალუწვდენელს
კოშკ დარბაზებს, რკინის გზებსა.

ეს ბუმბერაზი ქალაქი
მწყობრად რომ გაშენებულა...
ის, რას ხედავ აქ და სტკბები,
მუშის ხელით კეთებულა.

მაშ სალამი ყველა მუშებს,
მშრომელ ხალხს და მათი შვილებს,
ერთობა და გამარჯვება
შრომის ოფლში გამოზრდილებს!

გ. ჩარხიშვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: ენახებათ თუ არა და რა რაოდენობით გასამრჯელო მუშა-მოსამსახურეთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი დატოვებული არიან სამსახურში და თვით წარმოებანი ან დაწესებულებანი, სადაც ისინი დარჩენილ არიან სამუშაოდ, არ მოქმედებენ?

პასუხი: კი, ენახებათ ერთი თვის განმავლობაში თვიური განაკვეთის რაოდენობით.

კითხვა: რა რაოდენობით იღებენ შრომის ხელფასს მუშა-მოსამსახურენი იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ წარმოებაში და დაწესებულებაში მუშაობა სწყდება 1—3 დღით?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში მუშა მოსამსახურეები იღებენ გასამრჯელოს საშუალო ხელფასის მიხედვით.

კითხვა: ვალდებულია თუ არა და რა რაოდენობით დამქირავებელი მისცეს დაქირავებულ მუშა მოსამსახურეს სალიკვიდაციო ჯილდო იმ შემთხვევებში, როდესაც ვადიან ანუ უვადო ხელშეკრულება კანონიერ მიზეზების გამო უქმდება და ირღვევა?

პასუხი: დამქირავებელი აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულია მისცეს დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეს სალიკვიდაციო ჯილდო ნახევარ თვის ხელფასის რაოდენობით, თუ მან წინდაწინ, ორი კვირით, არ გააფრთხილა ის (მოსალოდნელ) სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

კითხვა: ეძლევა თუ არა დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეს, სალიკვიდაციო ჯილდო იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ხელშეკრულება ირღვევა და უქმდება მისგან დამოკიდებულ მიზეზების გამო?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში დაქირავებულს არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს სალიკვიდაციო ჯილდო.

(იხ. კოდექსი შრომის კანონებისა მუხ. 87, 88, 89 და 90).

რად ხდება ეს ?!

(ქუთაისის სადგურის უფროსის საყურადღებოდ).

(წერილი პროვინციიდან).

ვინაიდან რკინის გზის ლიანდაგებზე მიმოსვლის დროს ბევრი ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი, როგორც მაგალითად მექრთამეობას და სხვა ასეთებს, ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა და ხმარობს კიდევაც, რომ მოსპოს ასეთი შემთხვევები და ძირფესვიანათ აღმოფხვრას ერთხელ და სამუდამოდ ყოველივე არანორმალური და უკანონო მოვლენანი რკინის გზებზე, რათა მშვიდობიან გზას დაადგეს მშრომელი ხალხი და საბჭოთა ხელისუფლებას მიეცეს საშუალება ახლო მომავალში სავსებით აღადგინოს ჩვენი მეურნეობა. ამისათვის მრავალი ფული და ენერგია აქვს დახარჯული საბჭოთა ხელისუფლებას,— ჩვენ ვხედავთ ყოველ სადგურებში განცხადების ყუთებს ზედ წარწერით: „ყუთი განცხადებებისათვის და საჩივართათვის რკინის გზის აგენტებზე“ და სხვა.

როგორც ვიცით, აღნიშნული ყუთები ყველგან დაკეტილია. მისი გახსნის უფლება აქვთ ან საჩივართა და განცხადებათა ბიუროს გამგეთ, ან და მუშათა პრესის წარმომადგენლებს. ქუთაისში კი ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს. ყუთი აქ გახსნილია, იგი არც დაბეჭდილია და არც ბოქლომი აქვს და ვისაც უნდა მუშათა განცხადებებს და საჩივრებს ყუთიდან იღებს და როგორც მოისურვებს ისე მოქმედობს. ამ გვარად აქაური მუშათა ხმა სრულებით არ აღწევს არც მის პრესას და არც საჩივართა ბიუროს მე ეს მოვლენა ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია და ამიტომ ქუთაისის სადგურის ადმინისტრაციისაგან და იქაურ პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან მოვითხოვ—რად ხდება ეს და რა ზომებს ღებულობენ ისინი აღნიშნულ არა სასურველ და ყოვლად დაუშვებელი ფაქტის სალიკვიდაციოდ.

საგანკომის თან. შ. ხ. ემგვერაძე.

დამტვირთავი მუშების ცხოვრებიდან.

წინა წერილში გამოვსთქვი ის, რას წარმოადგენდენ სადგურ თბილისის საქონლის დამტვირთველნი, რიცხვით 400-მდე, მუშები. ეს მუშები დღეს „ტრამოტის“ ხელში არიან. ისინი პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მარტო თბილისის სადგურზე 15 მებარგეს „ნასილჩიკს“ შემოაქვს დღეში 20 დან ორმოც მილიონამდე მანეთი. საქონლის სადგურზე კი, სადაც სამასამდე მუშაა, თითო კურტნის მუშა თავის ზურგით ტვირთავს ათას ფუთს დღეში. თითო ფუთზე ტრამოტა წინდაწინვე იღებს ფულს, ვიდრე თვით მუშები დაიწყებდნენ დატვირთვას, ან გადმოტვირთავდენ ვაგონებიდან საქონელს ფუთზე ორ კაპეიკს ოქროთი.—აქ ნისიას და ზარალს ადგილი არა აქვს. ტრამოტა ჯერ ფულს იბარებს კერძო პირთაგან და მერე კი ამუშავებს მუშებს. მუშები რვა საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობენ. სამაგიეროდ, თქვენ თვალწინ ასეთი სურათია: მწონავი დგას ვაგონის წინ. უჭირავს ხელში ნუსხა და იმას ათვალიერებს თუ რამდენი ტომარა შევა, ან გამოვა ვაგონიდან. მწონავი ითვლება რკინის გზის მოსამსახურედ. მას ეძლევა განსაზღვრული, არა ნაკლებ 9 ხარისხისა ჯამაგირი, დაუგვიანებლად, დაუბრკოლებლად, თავის დროს. ეძლევა ნავთი, პური, სამგზავრო სასურსათო ბილეთი და სხვა. იმ მუშას კი, რომელიც ფიზიკურ ძალას უზომოდ ხარჯავს; რომელიც რვა საათის განმავლობაში ოფლში იწურება თავის ზურგით ათას ფუთზე მეტ ტვირთის ვაგონებში შეზიდვა-გადმოზიდვაში, რომელიც ნამდვილ მუშად ითვლება, რომელსაც ორი ათასზე მეტი კაპეიკი შემოსავალი შეაქვს ოქროს ღირებულებით ხაზინაში, აი ეს მუშა მოკლებულია ნავთს, პურს, სამგზავრო-სასურსათო ბილეთს. გარდა ამისა ის თვეში ორჯერ ჯამაგირსაც ვერ იღებს, მისი ჯამაგირის რაოდენობა დღე დე გამოურკვეველია. ეს მდგომარეობა ასე ვერ დარჩება.

ინფ. კორ. გიორგი ჩარხიშვილი.

შრომის ექსპლოატატორებს არ დაზოგავს სახალხო სასამართლო.

სახალხო სასამართლოს დროებითი სესიამ მიმდინარე წლის 1 აპრილს გაარჩია საქმე შემდეგი მოქალაქეთ:

წალების სამკერვალოს პატრონის ხერგუი ივანეს ძე ხაფაროვის, რომელიც ამუშავებდა თავის სახელოსნოში 2 მცირე წლოვან ახალგაზრდას ლევან არუტიუნოვს და ანანია პეტროსიანს დილის 9 საათიდან საღ. 6 საათამდე, ორივეს ამუშავებდა უფასოდ. საანგარიშო წიგნაკები მუშებს არ ჰქონდათ. სასამართლომ აღიარა დამნაშავედ მოქ. საფაროვი მცირეწლოვანთათვის სამუშაო დროს გაგრძელებასა და ხელფასის მიუცემლობის გამო და დააჯარიმა ის 150 მან. ოქროთი.

საქმე სასადილოს პატრონის იაკობ არტემის-ძე კენჭაძის, რომელიც 14 წლის ბავშვს, გიორგი მჭედლიშვილს 4 საათის ნაცვლად 12—14 საათს ამუშავებდა და აგრეთვე მზარეულ ზურაბ მარგარიანს 8 საათის ნაცვლად 14—16 საათ. საანგარიშო წიგნაკები მათ არ ჰქონია და არც დამზღვევ კასაში შენატანა მათვის ზღვარი გადასახადი. სასამართლოს გამოძიებით დადასტურდა მოქ. კენჭაძის დანაშაული, რომელიც გამოიხატა მცირეწლოვანის და მზარეულ მარგარიანის სამუშაო დროის გაგრძელებაში, საანგარიშო წიგნაკების უქონლობაში და დასაზღვევ კასაში ზღვარი ფულის შეუტანლობაში. სისხ. სამართ. 136 მუხლის ძალით მოქ. კენჭაძე 50 მან ოქროთი დაჯარიმდა.

საქმე თუნუქის სახელოსნოს პატრონ დანიელ იასების ძე გრომოვისა, რომელიც სახელოსნოში ამუშავებდა 14 წლის ბავშვს, მიხეილ ასტროვს დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო გასამრჯელოთ აძლევდა 150 000 მანეთ. ყოველკვირეულად და 20 000 მ სადილისათვის, ბავშვს საანგარიშო წიგნაკი არ ჰქონებია და ის არც დაზღვეული ყოფილა. სასამართლოს გამოძიებამ ყოველივე ეს ნათლად გამოარკვია, დაამტკიცა, და მოქ გრომოვი სასამართლოთი დაჯარიმებულ იქნა 15 მან. ოქრ.

მუშათა ქრონიკა.

შრომის ინსპექტორის მოთხოვნილება.

ამიერ კავკასიის სახ. სასურსათო კომისარიატის და სრულიად საქართველოს სასურსათო სამმართველოს შტატის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ამიერ-კავკასიის სასურკომში მიღებულ არიან სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე 19-მუშა მოსამსახურე და თვით სამმართველოში კი 7 კაცი; ამიტომ შრომის ინსპექტორი მოითხოვს, მოხსნილ იქნან სამსახურიდან პროტექციით მიღებული პირები და მათი ნაცვლად განგზავნილ იქნან სამსახურში შრომის ბირჟიდან უმუშევარნი.

— **სათესლე მასალის შეკრება.** მაზრაში თითქმის სავსებით იქნა სათესლე მასალა აკრეფილი. ჯერ-ჯერობით დაგროვებულია—ხორბალი—5 800 ფუთი, ქერი—1.230 ფ., სიმინდი 6.300 ფ.

— **მანქანების შეკეთება.** სამეურნეო იარაღების გასაცემ პუნქტებში ამ ჟამად ბევრი გაფუჭებული იარაღი დაგროვდა. აგრონომიული განყოფილება სასწრაფო ზომებს იღებს მათი შესაკეთებლად.

ა.-კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **ფიზიკურ მომუშავეთა გამორკვევა** ა.-კ. შრომის კომისარიატმა აცნობა თავის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში ბინის რეფორმის უნაკლოთ ჩატარებისათვის მოხდეს გამორკვევა თუ ვინ ირიცხება ფიზიკურ მომუშავეთ. რისთვისაც შესდგეს კომისია სამმართველოსთან მიწად-მოქმედების და პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

ქალაქის აღმასკომში.

— **ფუნიკულიორის ასამუშავებლად.** კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა, გაიხსნას სესხი 5000 მან. ოქროთი ტრამვაის დირექტორს ამხ. კორომაშვილს, ფუნიკულიორის ახლო ხანში ასამუშავებლად.

— **სახლის გადაცემა.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა, აივაზიანისეული სახლი, რომელიც ამ ჟამად დაზიანებულია, გადაეცეს „ცენტროსტროის“, დაევალოს კომუნალურ განყოფილებას შეიმუშაოს გადაცემის სათანადო პროექტი.

— **ბინის საკითხი.** ქალაქის აღმასკომის პლენუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვარძიელის მოხსენება საბინაო ახალ კანონის შესახებ, რომელიც გამოიმუშავა საგანგებო კომისიამ სახ. კომ. საბჭოს ხელმძღვანელობით. პლენუმმა მოხსენება მოიწონა და დაადგინა გადაეცეს კანონის გეგმა სახ. კომ. საბჭოს დასამტკიცებლად.

— **საფინანსო განყ. გამგ-ს თანამდებობიდან განთავისუფლება.** ქალ. აღ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საფინანსო განყ. გამგის ამხ. სმირნოვის თხოვნა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. მის ადგილზე ამხ. ფიალკოვსკი დაინიშნა.

განათლების კომისარიატში.

— **ბავშვთა დაწესებულებები.** განათლების კომისარიატის სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებამ დაათვალიერა დასავლეთ საქართველოს საბავშო დაწესებულებები შემდეგ ადგილებში, ოზურგეთში, ქუთაისში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში და ფოთში. აღმოჩნდა, რომ ფოთსა და ზუგდიდის გარდა, ბავშთა დაწესებულებები იმყოფებიან დამაკმაყოფილებელ პირობებში.

სხვა და სხვა.

— **მუშათა ერთიანი კოოპერატივი.** თანახმად საქ ცენტ. აღმასკომის დეკრეტისა და ცეკავშირის გამგეობის დადგენილებისა ტფილისის მუშათა ერთიან კოოპერატივს მიეცა უფლება გააერთიანოს თავის გამგებლობის ქვეშ მომმარაგებელი საზოგადოებანი: ტფილისის, ზემო და ქვემო ავჭალის, მელანის, მ ნქოდის, დიდი ლილოს, ნორიოს, მარტყოფის, ახალ სოფლის, სართიჭალის, ხაშმის, პატარძეულის და სხ.

— **დახმარება ახალგაზრდა უმუშევრებს.** ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის საერთო კრებამ, დაადგინა გადასდონ ერთი დღის ხელფასი უმუშევარ ახალგაზრდობის სასარგებლოდ.

— **ხელშეკრულება.** თამბაქოს ტრესტმა ხელშეკრულება დასდო სიღნაღის მაზრის აღ. კომიტეტთან და მუშათა კოოპერატივის გამგეობასთან, რომლის ძალით ისინი მოვალენი არიან მიაწოდონ ტრესტს 30.000 ფუთი ნედლი თამბაქო 1922 წლის მოსავლიდან. ამ მიზნით სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა თამბაქო დათესოს 500 დესიატ. მიწაზე.

ხელოვნება

(შალვა დადიანის იუბილე მუშების მონაწილეობით)

კვირას, პირველ აპრილს ნაძალადევის თეატრის დასის გამგეობამ შალვა დადიანის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო გამართა იუბილე. დაიდგა იუბილიარის დრამა „გეგეჭკორი“. მთავარ როლს ასრულებდა თვითვე იუბილიარი, რომელსაც მოქანცვის გამო აღარ ეტყობოდა თავისებური ცოცხალი ტემპერამენტი. „გეგეჭკორი“-ს როლს ასრულებდა დასის რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

„გეგეჭკორი“-ს როლში მინახავს რამდენჯერმე ჩარკვიანი, გელოვანი და ფრანგიშვილი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ გაგიჟების განცდას ისე უნაკლულოდ მათში ვერავინ ვერ ასრულებს, როგორც ჩარკვიანი. საიდუხის როლს ასრულებდა ლორთქიფანიძის ასული, სცენის მოყვარე ქალისგან უკეთესი აღარ მოითხოვება. მიმიკას და დაბალ ხმას რომ დაეძლია ამ როლში ის ჩვენს „სარრა ბერნარს“, ნუცა ჩხეიძესაც კი მოგაგონებდათ. ხეციას, შავდიას და ჩიქოვანის როლს თამაშობდენ სცენის მოყვარე მუშები, რომელნიც საერთო ანსამბლს მხარს უჭერდენ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა იუბილიარის მილოცვები. დასის სახელით მიულოცა იუბილიარს ფრანგიშვილმა, გამგეობის სახელით—ლითანიშვილმა; თბ. 1-ლი უბნის კულტ-განყ. სახელით ჩაჩანიძემ, თბილისის საქონლის სადგურის 400 მუშის სახელით მიულოცა გ. ჩარხიშვილმა, რომელმაც წრფელი მუშური ლექსი უძღვნა იუბილიარს და უსურვა მეტი თანაგრძნობა და სასცენო ხელოვნების გავრცელება ქვეყნის მკვებავ მუშებში.

დამსწრე—ჩარხი-გოგია.

— **რუსთაველის თეატრი.** შაბათს, 14 აპრილს, რუსთაველის თეატრში პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი ტრაგედია „მაკბეტ“ თარგმნილი ივ. მაჩაბლის მიერ. მაკბეტის როლს შეასრულებს მსახიობი ალ. იმედაშვილი, ხოლო ლედი მაკბეტს—მსახიობი ნინო ჩხეიძე. პიესას დადგამს რეჟისორი მიხ კორელი.

— **ტასო აბაშიძის ბენეფისი** ხუთშაბათს 12 აპრილს, რუსთაველის თეატრში შესდგება ტასო აბაშიძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება არტემ ახნაზაროვის მიერ გადმოქართულებული ოპერეტა „მასკოტა“.

— **საბავშო ჟურნალი.** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული აღზრდის მთავარ-მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციამ განაახლა საბავშო ჟურნალების „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ გამოცემა. ჯეჯილი გამოვა მოზრდილთათვის ორ თვეში ერთხელ, ხოლო ნაკადული ყოველთვიურად. პირველი ეღირება 25 კ. და მეორე კი 15 კ. ოქროთი.

— **რევოლიუციონური სიმღერები.** კოტე ფოცხვერაშვილმა დასწერა რევოლიუციონური სიმღერები: „წითელი სალამური“, რომანსი: „არსენ ჯორჯიაშვილი“ და სხ.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში.

კავშირის ოსეთის განყოფილების სამკითხველოსთვის მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გადაეცეს ოსეთის მიწა-ტყის განყოფილებას ოთხმოცდა ერთი წიგნი და მთელი ამის ხარჯი გაღებულ იქნას კულტ-ფონდის ანგარიშიდან.

შაბიამან-გოგირდი სახ. მამულების საჭიროებისათვის. წინანდალის, მუკუზნის და ნაფარეულის სახალხო მამულების ადგილკომებმა შუამდგომლობით მიმართეს მიწა-ტყის კავშირს აღძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა ხსენებულ მამულებს მიეცეს საჭირო შაბიამანი და გოგირდი.

ქიმიკოსთა კავშირში.

საპნის ქარხნის „ქირომასის“ დახურვა. ქიმიკოსთა კავშირის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება ნედლეულ მასალის უქონლობის გამო ქარხანა „ქირომასის“ დახურვის შესახებ.

პროვინციაში

ბორჯომი

მას შემდეგ, რაც ბორჯომში აშენდა ახალი კლუბი, დაიდგა მრავალი პიესები, უმთავრესად რევოლიუციონური ხასიათისა. დაარსებულია დრამატიული ოთხი კოლექტივი: ქართული, რუსული, სომხური და ბერძნული, რომელნიც თითქმის სისტემატიურად სდგამენ წარმოდგენებს ერთი მათგანი—ქართული დრამატიული კოლექტივი აყვანილია პოლიტ-განათლების მიერ ჯამაგირზე. ის თვეში აწყობს ხუთ-ექვს წარმოდგენას. გარდა ამისა ამ კოლექტივს უხდება თემებში გამგზავრება წარმოდგენების გასამართავად. აღსანიშნავია ახლო წარსულში დადგმული პიესა „ქრისტინე“, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა და შემდეგ იყო გამართული ქრისტინეს გასამართლება, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ბორჯომის ლიტერატურული ძალები. საჭიროა ხშირ-ხშირად იმართებოდეს ხოლმე ასეთი გასამართლება. დღეს ყველა ამის ინიციატორია პოლიტგანათლების ქართველი დრამატიული კოლექტივი, რომლის წყალობითაც თვით ქ. ბორჯომში კულტურული მუშაობა სწარმოებს. საჭიროა სხვა დანარჩენ აქაურმა კოლექტივებმაც აიღონ მაგალითი და მათთან დაიწყონ გაცხოველებული მუშაობა. უმთავრესად კი მუშათა უბანში, სადაც ხსენებულ კოლექტივების მიერ არც ერთხელ არ დადგმულა წარმოდგენა. კოლექტივმა დღეს მიზნათ უნდა დაისახოს აწარმოვონ მუშაობა მუშათა უბანში.

ბორჯომელი.

ხონი

როგორც მკითხველებმა იციან, ამ რამოდენიმე ხნის წინად, ქუთაისთან ახლო მდებარე ც. წ. მოწამეთას მონასტერში, სხვადასხვა ადგილებში ხალხის მიერ არჩეულ დელეგატებისა და სხვა აუარებელი ხალხის თანადასწრებით, იქნა გახსნილი ც. წ. დავით და კონსტანტინეს გვამები, რის შემდეგაც აღმოჩნდა უსისტემოდ დაყრილი დამპალი ძვლები, რისიც გამოცნობა შეუძლებელია თუ ვის ეკუთვნის. ცხადია, რომ ამ მოვლენამ დიდი გარდატეხა მოახდინა ხალხში, რის შემდეგაც სხვადასხვა ადგილებში ჩატარებულ ანტი-რელიგიურ კამპანიებმა გამოიღო საუცხოვო ნაყოფი, რაიც იმაში გამოიხატებოდა, რომ აღელვებული ხალხი გადაჭრით მოითხოვდა ეკლესიების დაუყოვნებლივ ჩამორთმევას მატყუარა სამღვდელოებისაგან.

ერთი ასეთი ანტი-რელიგიური საკამპანიო მიტინგი ჩატარდა ქ. ხონში, ა. წ. 1 აპრილს აუარებელი ზღვა ხალხის დასწრებით. ამ მიტინგზე პირველად იქნა ნაჩვენები „წმინდანების“ დავით და კონსტანტინეს ნაშთები (ძვლები), რამაც საბოლოოდ დაარწმუნა ის ადამიანები რელიგიის სრულ არარაობაში.

მიტინგზედ პირველი სიტყვა წარმოსთქვა ქუთაისის სამპარტკომის წარმომადგენელმა ამხ. ა. ურუშაძემ, რომელმაც გააშუქა რელიგიის საკითხი. შემდეგ ილაპარაკა ქუთაისის პროფკავშირთა საბჭოს სახელით ამხ. ლეკიშვილმა, ხონის რაიპარტკომის სახელით ამხ. გ. ბახტაძემ.

შესანიშნავი იყო ერთ-ერთ მღვდლის გამოსვლა, რომელმაც აშკარათ გაილაშქრა რელიგიის წინააღმდეგ, უარყო თავისი წინა საქციელი და მოინანია ის ცოდვები, რომლითაც დანაშაულია თითოეული მღვდელი მშრომელი ხალხის წინაშე; მიტინგი ტაშის ცემით შეხვდა მღვდლის ასეთ გამოსვლას. შემდეგ ილაპარაკეს ხალხის მიერ არჩეულ დელეგატებმა (მოხუცებული მამაკაცები—გაუნათლებელი მიწის მუშები) რომლებიც გაგზავნილი იყვნენ მოწამეთაში გვამების გახსნაზე დასასწრებლად. მათ თავის მხრით დაგმეს სარწმუნოება და მიულოცეს ხალხს სარწმუნოებრივი სიბრმავისაგან განთავისუფლება. ამის შემდეგ მთელი მიტინგის მიერ ერთხმად იქნა დადგენილი, რათა ხალხს მატყუარა სამღვდელოებას, ჩამოერთვას ყველა ეკლესიები (ქ. ხონში და მის უბნებში) და გადაეცეს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც გამოიყენებს მათ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამ დროს სამხედრო ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს“ და ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი ამხ. ვ. კენკერაძე და სხვები ეკლესიის გუმბათზე ხსნიან ჯვარს და მის მაგიერ კიდებენ წითელ დროშას. ხალხი დიდი კმაყოფილებით დაიშალა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მენშევიკები და სხვა კონტრ-რევოლუციონერები ეწევიან აქა-იქ მღვდელ-ბერებთან ერთად ხელჩაკიდებული, პროვოკაციას რელიგიის სასარგებლოდ.

შ. ჩაკვეტაძე.

ხარაგოულის რაიონი

(ლელვან-მარელისის თემი)

კვირას, 25 მარტს შესდგა ლელვან-მარელისის თემის მცხოვრებთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა მიუხედავად ძალიან ცუდი ამინდისა. ნაშუადღევის პირველ საათზე მიტინგი გახსნა თემკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ტერენტი მაღრაძემ. საეკლესიო დღესასწაულების მოსპობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიპარტ-ინსტრუქტორმა კოლია ფურცკარაძემ, რომელმაც მოკლეთ გააცნო მიტინგს თუ რა ზარალი მოსდის გლეხობას დღესასწაულების გადახდით; შემდეგ ილაპარაკა თემკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ტერენტი მაღრაძემ და მოუწოდა მიტინგს გლეხობის დამღუპველ დღესასწაულების ერთხელ და სამუდამოთ მოსპობაზე. გლეხობა ტაშის ცემით ეგებებოდა მოხსენებებს. მიტინგზე გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ ლელვან-მარელისის თემის მცხოვრებნი აღფრთოვანებით ვეგებებით დღესასწაულების გადახდის მოსპობას და ვთხოვთ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს ნულარ გვესტუმრებიან მარიობას, ამაღლებას, ახალკვირას და აღდგომის ორშაბათს.

მიტინგი დაიხურა მხურვალე ტაშის ცემით.

ტ. მაღრაძე.

ასკანის თემი (ოზურგეთის მაზრა)

ასკანის თემი არ არის პატარა. 580 კომლია და შესდგება ხუთი სოფლისაგან: გვაბრათი, მთისპირი, ზედა ოქროს ქედი, ვანის ქედი და ფერჩხის ჯვარი. მაზრას დაშორებულია 13—14 ვერსით. გლეხების შემოსავლის ერთად ერთ წყაროს შეადგენს მხოლოდ ღვინო და არაყი, ისიც მაშინ, თუ მოსავალი კარგია (წელს მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო) სიმინდის მოსავალი ასკანის თემში ან სრულებით არ არის, ან თუ არის, სრულებით უმნიშვნელო, რადგან მთა-გორიანი ეწერა ადგილებია და სიმინდის მოსავალისთვის სრულებით უვარგისი—გამოუსადეგარი.

აქაურ გლეხების უმრავლესობას ქვევით—ჩოლოქ მერეებში აქვთ ყანა და იქაური სიმინდის მოსავალიც ზოგ მათგანს წამალში და აქიმობაშიც არ ყოფნით, რადგან ასკანელ გლეხს, მიწის მუშას ადვილათ იპყრობს ჩოლოქის ციებ-ცხელება, რადგან ის მთა-გორაკის და კარგი ჰაერის მცხოვრებია.

ასკანის თემი ცნობილი იყო როგორც ყაჩაღ-ბანდიტების შემნახველი, რაც აიხსნება ასკანის თემის ბუნებრივი—განსაკუთრებული ადგილ მდებარეობა მდგომარეობით და მასზე მოდებული ტყე-მიდამოებით, სადაც ყაჩაღი ადვილად ნახულობს თავშესაფარს.

ბანდიტების თავ აშვებულებამ და მათმა თარეშმა ნახევრად გაანადგურა ასკანის თემი.

ა. წ. მარტის შუა რიცხვებში აქ მოკლულ იქმნა კარგად ცნობილი ყაჩაღი სიმონ ონისიმეს ძე თალაკვაძე, რომლის სიკვდილით თემის მშრომელი გლეხკაცობა ნასიამოვნები და გახარებულია.

თუ მივიღებთ მხედველობაში გასულ თვეებში მეორე ბანდიტის თედ. წიტაიშვილის მოკვლას ამავე თემში, მაშინ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბრძოლამ ბანდიტების წინააღმდეგ სათანადო შედეგი მოგვცა.

25 თებერვალს, ადგილობრივი აღმასკომის მინდორზე შესდგა დიდი სადღესასწაულო მიტინგი საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის აღსანიშნავათ, სადაც შესაფერი მოხსენებები გააკეთეს ამხ. პრ. ჯუჯ-ემ და კირ. უჯმაჯურიძემ.

18 მარტს გაიმართა წარმოდგენა-მიტინგი პარიზის კომუნის 52 წლის თავის აღსანიშნავად შესაფერი მოხსენებებით და პარიზის კომუნის ისტორიის გაცნობით მოხსენება გააკეთეს პარიზის კომუნაზე ამხ. ამბრ. მახარაძემ.

ამავე დღეს მიტინგზე მოხსენება გააკეთა ამხ. პრ. ჯუჯ-იმ სარწმუნოებაზე და ეკლესიების თეატრებათ და კლუბებათ გადაკეთებაზე. მიტინგი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა ეკლესიების გადაკეთებას და დაადგინეს იმავე დღეს (18 მარტს) წითელი დროშის აფრიალება ადგილობრივი ეკლესიის სამრეკლოზე. რომელიც სისრულეში იქმნა მოყვანილი მიტინგის დახურვის შემდეგ.

პრ. ასკანელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 8.

მოსკოვიდან ჩემ დაბრუნებამდე ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ინიშნება ამხ. ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ა. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 7.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტფილისი—სასახლე.

განცხადებები

ხუთშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

ტფილისის საბჭოს კომუნალურ ფრაქციის
სხდომა

პრეზიდიუმი.

810 2—1

ხუთშაბათს, 12 აპრილს,
რუსთაველის თეატრი
ტასო აბაშიძის ბენეფისი
მასკოტა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 308—2—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 11 აპრილს,
აიდა
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კრ. 307—1—1

კურორტთა მთავარი
სამმართველო
კურორტთა მთავარი სამმართველო ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, რომ შუა და ქვე აბასთუმანში კურორტთა სამმართველოს აქვს რამოდენიმე თავისუფალი აგარაკი, რომელიც მოითხოვს შეკეთებას (ზოგი დიდს). აღნიშნული აგარაკები შეიძლება გაიცეს იჯარით, საჭირო რემონტის მოხდენის პირობით.
ორგანიზაციები და სახელმწ. დაწესებულებები ვალდებულნი არიან განაცხადონ სურვილი აგარაკების იჯარით აღებისა კურორტთა მთავარ სამმართველოში (ტფილისი საპიორის ქ., 30) არა უგვიანეს ა. წ. 15 აპრილისა, რის შემდეგაც აგარაკები გაცემულ იქნება კერძო პირებზედ იჯარით, სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებთან უპირატესობა მიეცემა ყოფილ მესაკუთრეთ. (კრ. 300 3—2)

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—17

ხუთშაბათს ამა წლის 12 აპრილს საღამოს 7 ნახ. საათზე კავკასიის მედიცინურ საზოგადოების შენობაში (გეორგიევის 4) დანიშნულია
ქალაქ ტფილისის ექიმთა
საერთო კრება
დღის წესრიგი:
1) მოხსენება ექიმთა სექციის ბიუროს თავის მუშაობის შესახებ,
2) დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობაზე.
დასწრება პროფესიონალურ კავშირის წევრ ექიმების სავალდებულოა.
საქ. საექიმო-სასანიტარო პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი კლ. ცომაია.
ექიმთა სექციის ბიუროს თავმჯდომარე ალ. ქუთათელაძე.
510 1—1

სახლი
ბაღით და თავისუფალი ეზოთი. ვისაც სურს ჩქარა გაჰყიდოს ან შეიძინოს ხელსაყრელ პირობებში, მიმართეთ დავიდოვის ქუჩ. № 3, ბინა 2, გოლოვინის ქუჩის გვერდით.
(499—5—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კორღანოვის ქ. № 20. (501—25—4)

დაიკარგა მეაფთიაქის თანაშემწის წოდების მოწმობა მოცემული გრიგოლ იაკობის ძე ციტრინის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
509—1—1

საქ. ს. ს. რეს. ჯანმრთელობის კომისარიატი
კურორტების მთავარი
სამმართველო
იყიდება: 1. ბორჯომის წყალი, 2. ნახშირმჟავე გაზი (CO_2)
3. მანის ჭურჭელი, 4. ტყის მასალა დაუხერხავი და დახერხილი.
მიწოდებით და შეკვეთით შეიძლება მიმართოთ მთავარ საკურორტო სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილებაში (საპიორ. ქ. № 30, ტელეფონი № 4-08.) (კრ. 809—3—1)